



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
„კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ სტატიების
კრებული

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი, 2020 წელი. თბილისი.

მთიან ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების შემაფერხებელი ფაქტორები.

ვალერი მოდებაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი

ამ სტატიაში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ძალიან რთულია, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური ინტერესები და მოლაპარაკებების დროს შეუძლებელი ხდება მათ შორის კონსენსუსის მიღწევა. ამ კონფლიქტის გაანალიზებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ასევე რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში: კრემლი დაინტერესებულია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაყინვით, რათა დასუსტოს ორივე სახელმწიფო - აზერბაიჯანი და სომხეთი და ძალით დააბრუნოს რუსულ ორბიტაზე. მოსკოვი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაზე მყარი კონტროლის დამყარებას და ამიტომ, მის ინტერესებში არ შედის ამ კონფლიქტის სამუდამოდ მოგვარება. რუსეთი კვლავ განიხილავს სამხრეთ კავკასიას, როგორც მისი გავლენის სფეროს და ცდილობს ამ რეგიონის დაბრუნებას რუსულ ორბიტაზე.

საკვანძო სიტყვები: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, აზერბაიჯანი, სომხეთი, სამხრეთ კავკასია, რუსეთი.

2020 წლის 27 სექტემბერს მთიანი ყარაბაღის რეგიონში კონფლიქტი განახლდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. კონფლიქტურ მხარეებს შორის ბრძოლა ექვსი კვირა გაგრძელდა და 2020 წლის 9 ნოემბერს დასრულდა. დრონების ფართომასშტაბიანი გამოყენების გამო ეს კონფლიქტი ისტორიაში შევა როგორც „დრონების ომი“. ჯერ კიდევ უცნობია, რომელმა მხარემ დაიწყო ომი, ერევანი და ბაქო

ერთმანეთს ადანაშაულებენ კონფლიქტის გამწვავებაში. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული, საბრძოლო მოქმედებები მაინც გაგრძელდა 2020 წლის 10 ნოემბრამდე და არც ერთ მხარეს არ სურდა ომის შეჩერება. 2020 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები სერგეი ლავროვი, ზოგრაბ მნაცაკანიანი და ჯეიჰუნ ბაირამოვი შეხვდნენ მოსკოვში მთიანი ყარაბაღში კონფლიქტის დასრულების მიზნით. დაახლოებით ათ საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 10 ოქტომბრის 12 საათზე. მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოქმედებები არ შეწყვეტილა და ბრძოლა სეპარატისტულ რეგიონში გაგრძელდა.

ომმა დიდი მატერიალური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა ისედაც გადარიბებულ და გაღატაკებულ ყარაბაღის რეგიონს. საომარი შეტაკებების დროს ბევრი ქალაქი და სოფელი „აღიგავა პირისაგან მიწისა“ და მოსახლეობა იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა თავიანთი ადგილ-მამული და სახლ-კარი. ომის გამო არაერთი დასახლებული პუნქტი მიწასთან გასწორდა, რის გამოც კატასტროფულად იმატა გაუკაცრიელებელი სოფლებისა და ქალაქების რაოდენობამ. მათ, ვინც კონფლიქტის ზონაში დარჩენა გადაწყვიტა, იძულებული შეიქმნენ ბუნკერებში გადასულიყვნენ და იატაკქვეშეთში გაეგრძელებინათ ცხოვრება. ომის დროს ორივე მხარე, როგორც სომხეთი, ასევე აზერბაიჯანი იყენებდა ბალისტიკურ რაკეტებს სამოქალაქო ტერიტორიებისა და დასახლებული პუნქტების დასაბომბად.

ეს კონფლიქტი 30 წლის წინ დაიწყო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დამაბულობამ პიკს მიაღწია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სისლისმღვრელი ომი დაიწყო, რომელიც 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტით დასრულდა. ომმა 30 000-ზე მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა. ეთნიკურმა სომეხებმა მოიპოვეს გამარჯვება ამ ომში და ყარაბაღის რეგიონი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს.

მათ განამტკიცეს თავიანთი გავლენა ამ მთიან რეგიონზე, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და სომხეთთან სახმელეთო კავშირები დაამყარეს. ერევნის დახმარებით მთიანი ყარაბაღი ახერხებდა საკუთარი ტერიტორიების გაკონტროლებას. 1994 წელს ეთიკური აზერბაიჯანელების გაძევების შემდეგ, მთიანი ყარაბაღი წმინდა სომხურ რეგიონად გადაიქცა. საბჭოთა კავშირის ბოლო გამოკითხვის თანახმად, რომელიც 1989 წელს ჩატარდა, სომხები მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის 77%-ს შეადგენდნენ, აზერბაიჯანელები კი - 22%-ს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მთიანი ყარაბაღის მიმდებარე შვიდ რაიონში მოსახლეობის დაახლოებით 95% აზერბაიჯანელი იყო. დემოგრაფიული შემადგენლობის მიუხედავად, სომხები და აზერბაიჯანელები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და თანაარსებობდნენ საბჭოთა პერიოდში. მაგრამ მათ შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა 1990-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლა უკვე გარდაუვალი იყო. სომხეთმა დაიწყო აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალ მიწებზე პრეტენზიების განცხადება, რასაც მოჰყვა ეთნიკური დამაბულობის მატება და კონფლიქტების პროვოცირება აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირება სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა 1992 წელს. ომის მსვლელობისას ორივე მხარემ ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და მიწასთან გაასწორა უამრავი სოფელი და ქალაქი. 1994 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო დაპირისპირებულ მხარეებს შორის ეუთოს მინსკის ჯგუფის დახმარებით. ამ კონფლიქტში შუამავლის როლს ასრულებდა სამი ქვეყანა, რუსეთი, საფრანგეთი და აშშ. ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და ყარაბაღის სტატუსის შესახებ შეთანხმების მიღწევა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. დიპლომატიური მარცხის გამო ყველასათვის ნათელი იყო, რომ ომი ადრე თუ გვიან ისევ განახლდებოდა. პერიოდულად ადგილი ჰქონდა კონფლიქტის ესკალაციას და სამხედრო შეტაკებებს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. ბოლო

წლების განმავლობაში კონფლიქტის დასარეგულირებლად არაერთი გეგმა იქნა შემუშავებული, თუმცა ყველაზე რეალური წინადადება წამოყენებულ იქნა 2007 წელს მადრიდის სამიტზე და ის ისტორიაში ცნობილია, როგორც მადრიდის პრინციპები. ეს გარიგება მოიცავდა შემდეგ პუნქტებს: 1. პირველი, მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ოლქები უნდა დაბრუნებოდა აზერბაიჯანს 2. მეორე, მთიან ყარაბაღისთვის უნდა მიენიჭებინათ დროებითი სტატუსი, ასევე უსაფრთხოების გარანტიები და თვითმმართველობა. 3. მესამე, უნდა შექმნილიყო დერეფანი სომხეთის დასაკავშირებლად მთიან ყარაბაღთან. 4. მეოთხე, მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო რეფერენდუმით, უშუალოდ მისი მოსახლეობის მიერ. 5. მეხუთე, ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს და ლტოლვილს უნდა ჰქონოდა უფლება დაბრუნებოდა თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილს 6. დაბოლოს, მთელ რეგიონში უნდა ამოქმედებულიყო უსაფრთხოების გარანტიები სამშვიდობო ოპერაციების მეშვეობით.

თუმცა მადრიდის პრინციპები ითვლებოდა კონფლიქტის დარეგულირების ყველაზე რეალურ გეგმად, მხარეები ვერ თანხმდებოდნენ პუნქტების ზუსტ ინტერპრეტაციაზე და თავისებურად აღიქვამდნენ შეთანხმების პირობებს. მოლაპარაკებების დროს ყველაზე დიდ უთანხმოებას იწვევდა მთიანი ყარაბაღის სტატუსი. სანამ აზერბაიჯანთან რაიმე მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდოდა, ერევანი მოითხოვდა გარანტიებს, რომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი იქნებოდა და არ მოხდებოდა ამ რეგიონის ბაქოზე დაქვემდებარება. იმავდროულად, აზერბაიჯანი ყოველთვის უარს ამბობდა, რომ სომხეთისთვის თავისი ტერიტორია დაეთმო და თვლიდა, რომ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისთვის. ერევანი ყოველთვის ხაზს უსვამდა თვითგამორკვევის მნიშვნელობას მთიანი ყარაბაღის სტატუსზე საუბრის დროს, მაშინ როდესაც ბაქო დაჟინებით მოითხოვდა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ერთ-ერთ სატელევიზიო არხთან ინტერვიუს დროს

განაცხადა, თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპია, თუმცა მან არ უნდა დაარღვიოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. (სალომე თორაძე, 2020)

როდესაც ომი სომხების გამარჯვებით დასრულდა 1994 წელს, მათ თავიანთი გავლენა მარტო მთიანი ყარაბაღის რეგიონზე კი არ გაავრცელეს, არამედ ასევე დაიპყრეს აზერბაიჯანის შვიდი მიმდებარე ოლქი და აიძულეს ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობა დაეტოვებინათ თავიანთი ადგილ-მამულები. თუმცა სომხებსაც მოუწიათ იმ ტერიტორიების დატოვება, რომლებიც აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დარჩა. სომხების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული ოლქები, რომლებიც ამჟამად დაცლილია მოსახლეობისგან, მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ბუფერული ზონა. აზერბაიჯანმა უკომპრომისო პოზიცია დაიკავა ყარაბაღთან დაკავშირებით და ყოველთვის დაჟინებით მოითხოვდა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას. 2011 წელს რუსეთმა შესთავაზა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მადრიდის პრინციპების გარშემო მოლაპარაკებების წარმართვა. ამ მოლაპარაკებების შემდეგ სომხეთს აზერბაიჯანისათვის უნდა დაეთმო ყაღაზის მიმდებარე ოკუპირებული აზერბაიჯანული ოლქები. ლავროვის გეგმის თანახმად სომხებს უნდა დაეწყოთ ხუთი ოკუპირებული ოლქის აზერბაიჯანისათვის ეტაპობრივად გადაცემა და ამასთანავე რუსი სამშვიდობო ძალები უნდა განთავსებულიყვნენ რეგიონში. ამ გეგმის თანახმად სომხებს შვიდი ოკუპირებული ოლქიდან ხუთი უნდა დაებრუნებინათ აზერბაიჯანისათვის. თუმცა შემდეგ სომხეთმა უარი განაცხადა, რომ დათმობებზე წასულიყო, რის გამოც მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შევიდა. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, მოლაპარაკებების პროცესის განახლება მაინც ვერ მოხერხდა. სომხები კმაყოფილი იყვნენ სტატუს-კვოთი და ამიტომ უარი განაცხადეს დაეთმოთ აზერბაიჯანისთვის ტერიტორიები. თუ თავდაპირველად, 1994 წლის ომის დასრულების შემდეგ, სომხური საზოგადოება მზად იყო აზერბაიჯანთან კომპრომისზე წასულიყო და ყარაბაღის შვიდ მიმდებარე ოლქს აღიქვამდა, როგორც

მნიშვნელოვან კოზირს, რომლის გამოყენებაც უნდა მომხდარიყო მოლაპარაკებების დროს, მოგვიანებით მათი პოზიცია შეიცვალა და აზერბაიჯანთან ნებისმიერი კომპრომისი აღიქმებოდა, როგორც სომხური ინტერესების ღალატი. ომის დაწყებამდე სომხურ საზოგადოებაში გავრცელებული იყო ასეთი მოსაზრება, რომ ყველა ოკუპირებული ტერიტორია, თუნდაც მთიანი ყარაბაღის შვიდი მიმდებარე რაიონი, სომხეთის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო.

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც მთიანი - ყარაბაღის სომეხმა ლიდერებმა შვიდი ოკუპირებული რაიონის ყარაბაღთან მიერთების პროვოკაციული გადაწყვეტილება მიღეს. მათ მიერ მოხდა საზღვრების მოდიფიკაცია და ასევე აზერბაიჯანული დასახლებებისათვის სახელების შეცვლა. მიტოვებულ აზერბაიჯანულ დასახლებებს სომხური სახელები დაარქვეს. ეს აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ სომხეთი არ აპირებდა ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას და აზერბაიჯანთან კომპრომისზე წასვლას. სომხეთის მთავრობის ხელშეწყობით ინტენსიურად ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ეთნიკური სომხების განსახლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ომის დაწყებამდე სომხეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა ლიბანელი სომხების განსახლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სომხური დასახლებების შექმნა ყარაბაღის მიმდებარე 7 აზერბაიჯანულ ოლქში. ამ სახიფათო და პროვოკაციულმა ქმედებებმა აჩვენა, რომ სომხეთი მიზანმიმართულად გეგმავდა აზერბაიჯანული მიწების 20% -ის ანექსიას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მოლაპარაკებების ნებისმიერი მცდელობა კრახით სრულდებოდა და სამშვიდობო მოლაპარაკებები პარალიზებული იყო. საერთაშორისო საზოგადოების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის კონსენსუსის მისაღწევა. რაც დრო გადიოდა, პოლიტიკური რიტორიკა თანდათანობით იცვლებოდა და დროთა განმავლობაში სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. აზერბაიჯანმა ბევრჯერ გააფრთხილა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ იგი აპირებდა ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო ინტერვენციის გზით

განთავისუფლებას. სომხეთიც ემუქრებოდა აზერბაიჯანს უფრო მეტი ტერიტორიების წართმევას თუ იგი ომს განაახლებდა

შეიარაღებული კონფლიქტი გარდაუვალი იყო და 2020 წლის სექტემბერში მთიანი ყარაბაღის რეგიონში მასშტაბური საომარი მოქმედებები დაიწყო. ორივე მხარემ, როგორც აზერბაიჯანი, ასევე სომხეთი იყენებდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკას და რაკეტებს, ამ სისხლიან ომში სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად. აზერბაიჯანმა მიაღწია სრულ საჰაერო უპირატესობას იმ დრონების წყალობით, რომლებიც მან შეიძინა თურქეთისგან და ისრაელისგან. აზერბაიჯანმა ომის დროს ორი ტიპის დრონი გამოიყენა: თურქული წარმოების დრონი „ბაირახტარი“ და ებრაული წარმოების დრონი - „კამიკაძეები“. ამ დრონების საშუალებით ხდებოდა როგორც მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალების, ასევე მძიმე ტექნიკისა და საცეცხლე წერტილების განადგურება. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა ომის დაწყებისას გარკვეულ მოკრძალებულ წარმატებებს მიაღწია, მან ვერ შეძლო ბლიცკრიგის ტაქტიკის გამოყენება, როგორც ამას სამხედრო ლიდერები იმედოვნებდნენ. ყარაბაღის მეორე ომმა გამოკვეთა აზერბაიჯანის არმიის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური უპირატესობა. აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს ფრონტის გარკვეულ მონაკვეთებზე სწრაფი წინსვლა და კონტროლი აღადგინეს მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვან ნაწილზე, კერძოდ, მის სამხრეთ მონაკვეთზე. აზერბაიჯანის არმიამ თითქმის მთელი ტერიტორია აიღო ირანის საზღვართან. აზერბაიჯანმა შეძლო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გარშემო მდებარე ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის, მათ შორის ჯაბრაილის, ზანგილანის, ფუზულისა და ქუბადლის რაიონების განთავისუფლება.

ამ ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები სწრაფად დაიდრნენ ლაჩინის დერეფნისკენ, რომელიც სომხებისთვის სასიცოცხლო არტერიის ფუნქციას ასრულებს. ლაჩინის დერეფნის აღება

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მთავარი მიზანს წარმოადგენდა, რადგან ლაჩინის დერეფნის აღების შემთხვევაში სომხეთი ვერ შეძლებდა მთიან-ყარაბაღთან დაკავშირებას. მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ხოჯევანდის (მარტუნის) და ლაჩინის მიმართულებებით, აგრეთვე ჩრდილოეთის ფრონტზე. სომხებმა ვერ მოახერხეს რაიმე ეფექტური კონტრშეტევის დაწყება და მუდმივად უკან იხევდნენ ომის დროს. ომის კულმინაცია იყო აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის ისტორიული ცენტრის, შუშას აღება, რის შემდეგაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს გარიგებას მთიანი ყარაბაღის ომის დასრულების შესახებ. (დავით ბრაგვაძე, 2020)

სომხეთმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა აზერბაიჯანთან დაპირისპირების შედეგად. მან არამარტო დაკარგა 1993 წელს ოკუპირებული აზერბაიჯანული ოლქების უმეტესობა, არამედ მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილიც. სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, მთიანი ყარაბაღის საზღვრები შეიცვალა და სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა 1 დეკემბრამდე უნდა დატოვონ მთიანი ყარაბაღის გარშემო მდებარე სომხების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები. აზერბაიჯანელებისათვის 2020 წლის ყარაბაღის ომი დიდი ტრიუმფი იყო, მაშინ როდესაც სომხების მიერ ეს კონფლიქტი აღიქმება, როგორც დიდი ეროვნული დამცირება და შეურაცყოფა. სომხეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა მიღწეული შეთანხმება შეაფასა როგორც ძალზე მტკივნეული გადაწყვეტილება.

რუსეთი სომხეთის სამხედრო მოკავშირეა და ამ ქვეყანაში სამხედრო ბაზა გააჩნია. სომხეთი არის, როგორც ევრაზიის ეკონომიკური კავშირის, ასევე „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ წევრი. „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ არის რუსეთის ინიციატივით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. სწორედ ამიტომ, ყველა მოელოდა რომ ამ ომში რუსები დაეხმარებოდნენ თავიანთ მოკავშირე სომხებს და მათ

სამხედრო მხარდაჭერას აღმოუჩენდნენ. თუმცა პუტინმა უარი თქვა სომხების მხარდაჭერაზე, რადგან ბრძოლა მიმდინარეობდა არა სომხეთის ტერიტორიაზე, არამედ ყარაბაღის რეგიონში, რომელიც ლეგალურად აზერბაიჯანს ეკუთვნის. ამრიგად, იურიდიული თვალსაზრისით, რუსეთი ვერ ჩაერეოდა ამ კონფლიქტში, რადგან ომი არ მიმდინარეობდა სომხეთის ტერიტორიაზე. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც რუსეთმა უარი განაცხადა დახმარებოდა მის სტრატეგიულ მოკავშირეს კავკასიაში და ამ კონფლიქტში ნეიტრალური დარჩა. თუმცა არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც: პუტინს „გულზე არ ეხატება“ პროდასავლური სომხეთის მთავრობა და სომხეთის პრემიერ მინისტრი პაშინიანი იმ ანტირუსული ქმედებების გამო, რომელიც მან განახორციელა ბოლო პერიოდში. როდესაც 2018 წელს პაშინიანი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მან გადაწყვიტა მთავრობა გაეწმინდა კორუმპირებული პრორუსი პოლიტიკოსებისაგან და ისინი ჩაანაცვლა პროდასავლური ლიდერებით. ასეთი პროდასავლური რეფორმებით პაშინიანი აპირებდა შეემცირებინა სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზე. პაშინიანის მიერ გატარებულმა ანტირუსულმა ქმედებებმა კრემლი დიდად გააღიზიანა (Peter Osborne & Jan-Peter Westad, 2020) კრემლს სურს შეცვალოს ერევნის მიერ შერჩეული პროდასავლური კურსი და პრორუსი პოლიტიკოსები დააბრუნოს სომხეთის ხელისუფლების სათავეში. საინტერესოა, რომ სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი - კოჩარიანი, რომელიც პაშინიანის მეტოქედ განიხილება და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთის პოლიტიკურ ისტეблиშმენტთან, ისევ პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნდა. რუსეთი მოუთმენლად ელის ერევანში პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლას და, შესაბამისად, არ სთავაზობს რაიმე სახის დახმარებას პაშინიანს. ომის შემდეგ, ერევანში საპროტესტო აქციები გაიმართა, გაბრაზებული ხალხი შეიჭრა პარლამენტში და მოითხოვა პაშინიანის გადადგომა. პაშინიანს სომეხი ხალხი ყალბაში ადანაშაულებს და თვლის, რომ მან უბრძოლველად გადასცა ტერიტორიები აზერბაიჯანს. ერევანში არსებული მასშტაბური პროტესტების

გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფაშინიანი დიდხანს დარჩეს ხელისუფლების სათავეში.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში არმონაწილეობის უკანასკნელი მიზეზი უკავშირდება კრემლის გეოპოლიტიკურ მიზნებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსეთის ქმედებები უნდა განვიხილოთ გეოპოლიტიკურ ჭრილში:

მოსკოვი არ არის დაინტერესებული სომეხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტის მოგვარებით. კრემლის ინტერესშია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაყინვა, რათა ორივე სახელმწიფო, როგორც აზერბაიჯანი, ასევე სომხეთი მაქსიმალურად დასუსტდეს და კვლავ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნდეს. მოსკოვის მიზანია მტკიცე კონტროლის დამყარება სამხრეთ კავკასიაზე და ევროპის ალტერნატიულ ენერგეტიკულ დერეფანზე. მოსკოვს არ მოსწონს ის ფაქტი, რომ დასავლეთისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტები ხორციელდება რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. კრემლის მიზანია რომ იყოს დასავლეთისთვის ენერგორესურსების ერთადერთი მიმწოდებელი და პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგიის ტრანსპორტირების მარშრუტებზე მკაცრი კონტროლი დაამყაროს.

დასავლეთს სურს შეამციროს რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება და ამ მიზნის მისაღწევად სამხრეთ კავკასიაში შექმნა ნავთობსადენებისა და გაზსადენების მთელი ქსელი. შეიქმნა ალტერნატიული ენერგეტიკული დერეფანი ევროპაში ენერგომომარაგების მარშრუტების დივერსიფიკაციის მიზნით. რუსეთი ამ პროცესს საფრთხედ აღიქვამს, რადგან ევროპის ენერგომომარაგებაზე მონოპოლიის მოპოვება მისი მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. მოსკოვი აპირებს იყოს დასავლეთის ნავთობისა და გაზის ერთადერთი მიმწოდებელი. ამიტომ, რუსეთის ინტერესებში შედის სამხრეთ კავკასიის დესტაბილიზაცია, რათა ამ რეგიონმა დაკარგოს სტრატეგიული მნიშვნელობა დასავლეთისთვის. ომებმა და ეთნიკურმა კონფლიქტებმა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შეიძლება ხელი შეუშალოს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ განვითარებას და შეასუსტოს ამ რეგიონის

სატრანზიტო ფუნქცია. ეთნიკური კონფლიქტები და ომები სამხრეთ კავკასიაში ხელს შეუშლის ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას ამ რეგიონში და დააფრთხობს პოტენციურ ინვესტორებს დასავლეთიდან. თუ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს ნავთობსადენები და გაზსადენები დაზიანდება, ეს პროვოკაციული ქმედება დააფრთხობს დასავლეთის პოტენციურ ინვესტორებს და ისინი დაკარგავენ მოტივაციას, რომ ფინანსური რესურსები გამოყონ ენერგეტიკულ პროექტებზე ამ პრობლემურ რეგიონში. ამ შემთხვევაში რუსეთი გახდება დასავლეთისთვის ენერგიის ერთადერთი მიმწოდებელი. რუსეთის ეკონომიკა არ არის დივერსიფიცირებული და ნავთობისა და გაზის ექსპორტი კვლავ რჩება კრემლის შემოსავლის მთავარ წყაროდ. ამიტომ, რუსეთის ინტერესებშია გავლენის გაძლიერება პოსტსაბჭოთა სივრცის ენერგიით მდიდარ რეგიონებში. (Valeri Modebadze, 2017)

რუსეთის მთავრობამ იცის, რომ გაყინული კონფლიქტები სერიოზული თავის ტკივილია კავკასიის სახელმწიფოებისთვის და ხელს უშლის მათ ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. კრემლი ნატოს გაფართოებას საფრთხედ მიიჩნევს და სურს ხელი შეუშალოს კავკასიის სახელმწიფოების ინტეგრაციას ამ ორგანიზაციაში. რუსეთის მთავარი მიზანია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება. ნატოს გაფართოება და სამხედრო ინფრასტრუქტურის დაახლოება რუსეთის საზღვრებთან განიხილება, როგორც საგარეო პოლიტიკური საფრთხე. რუსეთმა იცის, რომ სანამ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები მონაწილეობენ ეთნიკურ კონფლიქტებსა და ომებში, ნატოსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მათი ინტეგრაციის შანსები ძალიან დაბალია. ამრიგად, რუსეთის ინტერესებშია შეინარჩუნოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა კავკასიაში, რათა თავიდან აიცილოს ნატოს გაფართოება და კავკასიის სახელმწიფოების გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

მთიანი ყარაბაღის ომიდან ყველაზე მეტი სარგებელი რუსეთმა ნახა. 2020 წლის 9 ნოემბერს გაფორმებული გარიგება აშკარად რუსეთის წისქვილზე ასხავს წყალს. იგი ამყარებს რუსეთის პოზიციებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ეს გარიგება საშუალებას აძლევს რუსეთს "სამშვიდობო ძალები" განათავსოს მთიანი ყარაბაღის რეგიონში. (Gwynne Dyer, 2020) სამშვიდობო ძალების გაგზავნით მთიანი ყარაბაღში, რუსეთს საშუალება ეძლევა შექმნას საკუთარი სამხედრო ბაზები აზერბაიჯანში. გარდა ამისა, რუსეთი იძენს ლაჩინის დერეფნის კონტროლის უფლებას, რომელიც სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს ერევნისთვის, რადგან მისი საშუალებით სომხეთი ახერხებს მთიან ყარაბაღთან დაკავშირებას. ლაჩინის დერეფანს სომხეთი იყენებს, როგორც ლოგისტიკური მარშრუტს მთიანი ყარაბაღის მომარაგების მიზნით. ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან დერეფანზე კონტროლის დამყარებით, რუსეთს უზნდება შესაძლებლობა უფრო მეტი გავლენა მოიპოვოს სომხეთზე. იზოლირებული და გადატაკებული სომხეთი უფრო მეტად დამოკიდებული გახდება რუსეთზე და საფრთხე შეექმნება მის სუვერენიტეტს. რადგან რეგიონში რუსეთის გავლენა იზრდება, სომხეთი და აზერბაიჯანი შეიძლება მომავალში გახდნენ რუსეთის სატელიტური ქვეყნები. კიდევ ერთი დერეფანი, რომელიც რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს, როგორც პოლიტიკური იარაღი და ბერკეტი კონფლიქტური მხარეების გასაკონტროლებლად, არის სტრატეგიული დერეფანი, რომელიც აზერბაიჯანს დააკავშირებს ნახიჩევანთან და თურქეთთან. ამ დერეფანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ბაქოსთვის, რადგან ის არის აზერბაიჯანიდან თურქეთისკენ მიმავალი უმოკლესი გზა. გარიგების თანახმად, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებს უფლება აქვთ გააკონტროლონ ეს დერეფანი, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს თურქულენოვანი ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირებაში. აზერბაიჯანმა და რუსეთმა შეიძლება გამოიყენონ ეს დერეფანი მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად. მიღწეული შეთანხმება რუსეთს საშუალებას აძლევს გაიმყაროს პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში (Владимир Есипов, 2020)

სავარაუდოდ, ბოლო დროს მიღწეული შეთანხმება არ გამოიწვევს საომარ მოქმედებების შეწყვეტას სომეხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. პირიქით, მას შეუძლია ახალი ომების გამოწვევა მომავალში, რადგან ორივე მხარე ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ მთიანი ყარაბაღი საბოლოოდ რუსების ხელში აღმოჩნდა.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მიღწევა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ვერ ხერხდება მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური მიზნები და მოლაპარაკებების დროს ვერ ახერხებენ კონსენსუსის მიღწევას. არც ერთ მხარეს არ სურს კომპრომისზე წასვლა და კონსენსუსის მიღწევა. გასათვალისწინებელია ასევე რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესებიც: კრემლს სურს სამხრეთ კავკასიაზე სრული კონტროლის დამყარება და არ უნდა, რომ ეს რეგიონი გახდეს ევროპული სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი. ამიტომ, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება ამ რეგიონის დესტაბილიზაციას გაყინული კონფლიქტების მეშვეობით. რუსეთი ყოველთვის მხარს დაუჭერს სეპარატისტულ ძალებს ამ რეგიონში, რათა ხელი შეუშალოს ახალი და მნიშვნელოვანი მეგაპროექტების განხორციელებას სამხრეთ კავკასიაში. კრემლის მიზანია მთიან ყაზახში კონფლიქტის გახანგრძლივება სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური მიზნის მისაღწევად - ორივე სახელმწიფოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დასასუსტებლად და რუსეთის ორბიტაზე დასაბრუნებლად.

Bibliography:

1. Valeri Modebadze (2018) EU relations with the South Caucasian countries since the breakdown of Soviet Union, 3rd International Scientific Conference - Politics Around Caucasus, Proceedings, Tbilisi, https://www.academia.edu/37409208/EU_relations_with_the_South_Caucasian_countries_since_the_breakdown_of_Soviet_Union
2. Davit Bragvadze (2020) Russian Gambit in the Second Karabakh War, Kviris Palitra newspaper, <https://www.kvirispalitra.ge/gisp-blogi/70925-rusuli-gambiti-yarabaghis-meore-omshi.html>
3. Владимир Есипов (2020) Немецкий Эксперт: Мир в Карабахе – серьезный успех внешней политики России, <https://www.dw.com/ru/nemeckij-jekspert-mir-v-karabahe-sereznyj-uspeh-vneshnej-politiki-rossii/a-55565160>
4. Gwynne Dyer (2020) Armenia ceasefire: a truce to last, CyprusMail, <https://cyprus-mail.com/2020/11/14/armenia-ceasefire-a-truce-to-last/>
5. Salome Toradze (2020) Ilham Aliyev - We will not allow the creation of a second Armenian state on the territory of Azerbaijan, First Channel, <https://1tv.ge/news/ilham-alievi-ar-davushvebt-somkhetis-meore-sakhelmwifos-sheqmnas-azerbaijanis-teritoriaze/>
6. Peter Osborne & Jan-Peter Westad (2020) Caught between Russia and Turkey, Armenians say West has abandoned them, Middle East Eye, <https://www.middleeasteye.net/news/armenia-azerbaijan-conflict-russia-turkey-west-abandoned>

**დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ
კავკასიის რეგიონში**

ალიკა გუჩუა, გორდა ღიბრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდი სახელმწიფოების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე და 21-ე საუკუნეშიც სულ უფრო იზრდება მისი როლი. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სტაბილურობა არ არის დამოკიდებული მარტო რეგიონში შემავალ სამ სახელმწიფოზე, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონაური მოთამაშეები: რუსეთის, თურქეთის სახით და გლობალურ დონეზე ევროკავშირი, ამერიკა, ირანა და ჩინეთი. რეგიონის ღრმა ისტორიული წარსულიდან, ხასიათდება სუსტი სახელმწიფოებრიობით და გადაუწყვეტელი სამხედრო კონფლიქტებით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებს შორის წამყვანი ადგილი სეპარატისტულ კონფლიქტებს უჭირავს, რომლებიც გარე ძალების ჩართულობით, გადაუჭრელ კონფლიქტთა რიცხვს მიეკუთვნება. კონფლიქტების მთავარ აქტორად რათქმუნდან რუსეთი გვევლინება, მათ შორის თურქეთსაც გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები. ასევე მზარდი სამხრედო კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, რომელმაც პერმანენტული ხასიათი მიიღო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე.

განვიხილოთ მთავარი აქტორების : ამერიკის, რუსეთის, ირანის და თურქეთის როლი სამხრეთ კავკასიაში. ამერიკის ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში, გაცილებით უფრო დიდია და ფასეულია ვიდრე სხვა ქვეყნების, რეგიონზე საკუთარი კონტროლის გატარების კუთხით მას საშუალება ეძლევა დომინირება მოახდინოს: შავ ზღვაზე, ხმელთაშუა ზღვაზე და კასპიის ზღვაზე, ამ კუთხით ის ასევე ხდება რეგიონული მაშტაბით ლიდერი ქვეყანა და ამცირებს მისი მთავარი კონკურენტის, ჩინეთის პოზიციებს რეგიონში. ამერიკის მხრიდან ინტერესი რეგიონმა მე - 20 საუკუნის ბოლოს შეიძინა, იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა კასპიის რეგიონი გამოაცხადა ამერიკის ერვწული ინტერესების ერთ - ერთ მთავარ მიზნად. 2002 წელს

კიდევ უფრო გაიზარდა ამერიკის ინტერესები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ, ეს პერიოდი უკავშირდება აშშ-ის და რუსეთის ინტერესების გადაკვეთას შავი ზღვის - კასპიისპირეთის რეგიონში.

რუსეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში ძალიან ნეგატიურად აისახება, რადგან მას შემდეგ საქართველომ პროდასავლური კურსი განაცხადა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მიმერთულებით საკმაოდ აქტიურად დაიწყო მუშაობა რუსეთთან ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. მან დაიწყო აგრესიული სამხედრო პოლიტიკის გატარება და ის ასევე მთავარ ისპირატორად გვევლინებოდა ეთნო კონფლიქტების კუთხითაც. რუსეთი თავისი გავლენს სფეროდ მიიჩნევს სამხრეთ კავკასიის რეგიონს და ახალი მოთამაშეების პოლიტიკის გატარებას საკმაოდ აგრესიულად ხვდება, რისი მაგალითიცაა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი. რუსეთი თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მოქმედებებით ცდილობს თავისი გავლენის გაზრდას და რეგიონის გაკონტროლებას.

საკმაოდ საინტერესოა ირანის ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში, მას სურს თავისი გავლენების გაძლიერება რეგიონში, რაც რამოდენიმე ფაქტორით განისაზღვრება. მის ინტერესთა სფეროში ექცევა ენერგო რესურსები და თურქეთის გავლენის ზრდის შემცირება რეგიონში. ცალკე განხილვის საგანია ირან - აზერბაიჯანის ურთიერთობები, რადგან ეს ყველაფერი განპირობებულია „სამხრეთ აზერბაიჯანის“ ფაქტორით - (15 მილიონამდე ერთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა, რომელიც ჩასახლებულია ჩრდილოთ ირანის ტერიტორიაზე). ეს ყველაფერი პოტენციურად საფრთხის შემცველია ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის. ამ ფონზე ირანმა მოახერხა რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების დალაგება, რადგან მოეხდინა ამერიკა - თურქეთის გავლენის შემცირება რეგიონში.

თურქეთის ფაქტორი - ის რეგიონში ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა, მის მთავარ მოკავშირედ აზერბაიჯანი აღიქმება, რადგან ისტორიულად სომხეთთან

ანტაგონისტური ურთიერთობა აკავშირებს, თურქეთის ეკონომიკური ინტერესის სფეროა სამხრეთ კავკასიას, რომელიც მოიცავს: ენერგეტიკურ და სატრანსპორტო მიმართულებას, ასევე საქართველოსთან ახლო ურთიერთობა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, უმარტივეს სტრატეგიულ პარტნიორობას აზერბაიჯანთანაც. თურქეთი სხვა ჩვენი მეზობელი ქვეყნებთან განსხვავებით მუდამ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ის მედიატორის ფუნქციასაც ითავსებდა.

ნაშრომში განხილულია დიდი სახელმწიფოების როლი და გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკა და არსებული კონფლიქტები. ასევე, გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და საფრთხეები რაც უშლის აღნიშნულ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრებას.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, რეგიონული უსაფრთხოება, ეთნიკური კონფლიქტები, სამხედრო კონფლიქტები.

ამერიკის როლი სამხრეთ კავკასიაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკამ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ინტერესი გამოიჩინა, მას სურდა რეგიონში საკუთარი უსაფრთხოების, ენერგეტიკული და პოლიტიკური ინტერესები გატარება. რეგიონში არსებული ქვეყნებიდან, ყველაზე ახლო მოკავშირედ ვაშინგტონის მიმართ საქართველო გახდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის აშშ - ის მიმართ კეთილად არის განწყობილი, სომხეთი კი ამერიკასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ერევნისთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში უსაფრთხოების გარანტად მაინც რუსეთი რჩება.

მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარებისა და კლინტონის მთავრობაში არსებული სურვილი ამერიკის საგარეო პოლიტიკის გაძლიერების გამო, სამხრეთ კავკასიაში ვაშინგტონის თვალში 1990 - იან წლებში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ¹1997 წელს აშშ - ის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სტროუმ ტალბოტმა სამხრეთ კავკასიიდან შუა აზიისკენ მიმავალ სარტყელს „სტრატეგიულად სასიცოცხლო ინტერესისა“ უწოდა. ამერიკის ყურადღების ცენტრში ექცეოდა კასპიის ზღვის აუზი და მისი ნავთობისა და გაზის საბადოები, ამ საბადოებს ვაშინგტონში მაშინ სპარსეთის ყურის რესურსების ალტერნატივადაც მოიაზრებდნენ. გარდა ამისა, ამერიკის სტრატეგიული ხედვით, აზერბაიჯანი და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნები აღმოსავლური რესურსების დასავლური ბაზრებისკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კორიდორს წარმოადგენს. წარმოებულ პროცესები სხვადასხვა ინტერესებით შემოიფარგლება. ენერგოსაფრთხოების გარდა, აზერბაიჯანის რესურსებს აშშ მის მიერ რუსეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ერთ - ერთ ფაქტორადაც მიიჩნევს, რადგან რუსეთი საკუთარი რესურსებისა და საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი სატრანსპორტო ქსელების გამო დღემდე დომინირებს ენერგოსექტორზე.

ზემოთ აღნიშნული ინტერესების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატები რეგიონში ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორი გახდა. ობამას მთავრობას, წინამორბედი ადმინისტრაციის სწორი პოლიტიკის წარმოებაში ენერგეტიკის, უსაფრთხოების პოლიტიკის და დიპლომატიური ურთიერთობების მიმართულებით, კარგად წარმოებული პოლიტიკა დახვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში ყველაზე უფრო დიდი გავლენა კვლავაც რუსეთს გააჩნია.

¹ „პირობითი ჩართულობა აშშ - ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში“ – 6.2018 -

https://ge.boell.org/ka/2018/02/06/pirobity-chartuloba-ashsh-sakmianoba-samxret-kavkasiashi#_ftn1

² Iran's Role in the South Caucasus and Caspian Region: Diverging Views of the U.S. and Europe – 10.2003 - <https://www.belfercenter.org/node/89731>

სამხრეთ კავკასიაში წარმოებულმა პოლიტიკამ აშშ-ს შესაძლებლობა მისცა, რუსეთისა და ირანი, რომელიც ამ რეგიონში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული გარკვეულ როლს თამაშობს, მათი პოზიცია შეესუსტებინა. 1993 წელიდან სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის გამოჩენამ გარკვეულ წილად შეასუსტა სხვა აქტორების ინტერესები, ეს სვადასხვა გარემოებებით აღინიშნებოდა, ამერიკის პოლიტიკა რეგიონში ძირითადად მიზნად ისახავდა დემოკრატიისა და თავისუფალი ვაჭრობის სფეროს და ასევე ყველაზე მთავარს, ნატოს გავლენის სფეროს გაფართოებას.

ნატო-ს პარტნიორობის სტრუქტურები უზრუნველყოფს მრავალმხრივ ჩარჩოებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის, რომლის ფარგლებშიც მათ საშუალება ეძლევათ გადაწყვიტონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები.³ პარტნიორობა ასევე აძლევს საშუალებას მათ გამოიყენონ ალიანსის გამოცდილება, საკუთარი თავდაცვითი სტრუქტურების და შესაძლებლობების ადაპტაციის მიზნით, რათა დაძლიონ აღნიშნული პრობლემები და ისარგებლონ ალიანსის მხარდაჭერით უფრო ღრმა რეფორმების გატარებისას.⁴ ნატო-ს და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ადრეული 90-იანი წლებიდან ხდება, სამივე ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული, ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში - ფორუმში დიალოგისათვის, რომელიც შეიქმნა ნატო-ს მიერ 1991 წლის დეკემბერში, როგორც პირველი ნაბიჯი ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრების ჩართვისაკენ, აღმოსავლეთის და დასავლეთის ⁵გამყოფი ზღუდის მიუხედავად, რომელსაც მოგვიანებით, 1997 წელს, ჩაენაცვლა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. სამივე ქვეყანამ დაუყონებლივ ისარგებლა შესაძლებლობით ჩართულიყო პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ნატო-ს მისწრაფებას გააღრმავოს დიალოგი და გაამყაროს

³ Malek. M - „, NATO and the South Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia on Different Tracks” – 7.2008 – pp 30-35

⁴ „ამერიკა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება“ - 18.2017 - <https://www.amerikiskhma.com/a/experts-speaking-about-georgias-territorial-integrity-/3949348.html>

⁵ NATO's partners in the South Caucasus – 10.2012 - https://www.nato.int/cps/en/natohq/news_89866.htm?selectedLocale=en

უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში არის ის, რომ მან უპასუხოს უსაფრთხოების უმთავრეს ამოცანებს, როგორიცაა: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოკრატიზაციის ხელშეწყობა ამერიკის უშუალო ჩართულობით და დაფინანსებით ხორციელოდებოდა. პირდაპირი ფინანსური დახმარება ეწეოდა, სხვადასხვა მიმართულებებს, როგორც იყო: სახელმწიფო აპარატის რეფორმების, დეცენტრალიზაციის, ქალთა უფლებების გაძლიერების და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობისა და განვითარების კუთხით.

რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კრემლის პოლიტიკამ რეგიონის მიმართ აგრესიული თავდაცვითი ხასიათი მიიღო. პუტინსა და მის თანამოაზრე სამხედრო სექტორის წარმომადგენლებს არაერთხელ გაუჟღერებიათ პოზიცია რომ რუსეთის დაშლას მესამე ძალა ცდილობს და ის ამისთვის სწორედ ფედერაციის ყველაზე სტრატეგიულ რეგიონს, სამხრეთ კავკასიას იყენებს. მესამე ძალად მოიხსენიება, შეერთებული შტატები და ნატოს წევრი სახელმწიფოები. რუსეთის ინტერესი კავკასიაში, რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. შესაბამისია მის მიერ გატარებული პოლიტიკაც, მიმართულია ენერგორესურსების კონტროლზე და განაწილებაზე. სწორედ ამ მიმართულებით ტრანსფორმაციის პერიოდად მიჩნეულია 2011 წელი. “2011 წელს წარმოებული პროცესები, რომელიც მოიხსენიება ლიბია, სირიის მოვლენების სახელით, მთავარ გამომწვევად რჩება მსოფლიო ასპარეზზე პრომლემატიკის მოგვარების კუთხით. ამ მომვლენების გაგრძელებას (კონკრეტულად სირიის სამოქალაქო ომს) მოჰყვა

⁶ Russia's Stony Path in the South Caucasus – 20.2020 - <https://carnegieendowment.org/2020/10/20/russia-s-stony-path-in-south-caucasus-pub-82993>

რუსეთის ჩართულობა პროცესებში, რომელიც გარკვეულ წილად ევრაზიული ენერგოსივრცეზე კონტროლს გულისხმობდა.

რუსეთს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს კავკასიასთან. ის სამხრეთ კავკასიასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც ნაკლებად უწევს გაითვალისწინოს მის მიერ საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ისევე როგორც სეპარატისტულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში საგარეო, უსაფრთხოების, სოციალურ - ეკონომიკური თუ რელიგიური კუთხით წარმოებული პრობლემები. რუსეთი პრეტენზიას აცხადებს სამხრეთ კავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევაზე,⁷ საქართველოსთან მოკლევადიანი აგვისტოს ომის შემდეგ 2008 წელს, კავკასიის ეს რეგიონი მან თავისი „განსაკუთრებული ინტერესის“ ზონად გამოაცხადა, სადაც გარე აქტორების ინტერესებს საფრთხე შეუქმნა, ამ ყველაფერში რათქნაუნდა დასავლეთი იგულისმება. ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება წარმოადგენს შემდეგს, სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო ეკონომიკურად და უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით რუსეთზე სხვადასხვა დოზითაა დამოკიდებული. ამ მხრივ ყველაზე უფრო გამორჩეულია სომხეთი. საქართველოსთვის რუსეთი სავაჭრო პარტნიორობის მიხედვით მეოთხე ადგილზეა თურქეთის, აზერბაიჯანისა და ჩინეთის შემდეგ. საქართველოს პოლიტიკის ახალმა კონცეფციამ რუსეთისადმი, სავაჭრო ბლოკადის გაუქმება და სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა მოიტანა, მაგრამ დამაბულობის ძირეულად განმუხტვა მაინც ვერ მოახერხა. საქართველოზე ზეგავლენის მოსახდენად რუსეთის ხელში არსებულ ძირითად ბერკეტად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რჩება.

სამხრეთ კავკასიის გადაუჭრელმა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა რყევებმა მნიშვნელოვანწილად გადაფარა პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები. ჩრდილოეთ კავკასია ძირითადად გამოირჩევა

⁷ Russia and Turkey in the Black Sea and the South Caucasus – 20.2019 - <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/western-europemediterranean/turkey/250-russia-and-turkey-black-sea-and-south-caucasus>

მკვეთრად არასტაბილური გარემოთი, ეს რეგიონი არა მარტო რუსეთის „ახლო აღმოსავლეთად“ ითვლება, ის, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ - ერთი კონფლიქტური რეგიონია.

სამხრეთ კავკასიაში ყარაბაღის კონფლიქტის არსებობა, რეგიონს მუდმივ კონფლიქტურ საფრთხის ქვეშ აყენებს, თუმცა წარმოებულ კონფლიქტში რუსეთი მომგვევლინა „მშვიდობის მყოფელის“ სტატუსით. აზერბაიჯანსა და სომხრეთ შორის 2020 წლის ნოემბერში რუსეთის შუამავლობით მიღწეულ შეთანხმებას მოაწერა ხელი, რამაც მთიანი ყარაბაღისთვის გაჩაღებული 6 კვირიანი საომარი მოქმედებები დაასრულა.

ცეცხლის შეწყვეტის პირობების შესაბამისად, ყარაბაღის დე ფაქტო დამოუკიდებლობა მეტად დაცული გახდა, ვიდრე მანამდე იყო, რადგან, თუ მას აქამდე სომხეთის შეიარაღებული ძალები იცავდნენ, დღეს უკვე აზერბაიჯანის ნებისმიერ მცდელობას, ძალის გამოყენებით დაიბრუნოს იგი, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური რესურსი დაუპირისპირდება. რუსეთის მონიტორინგი რეგიონში, კონტროლ ქვეშ აყენებს მიმდინარე პროცესებს დაი კიდევ უფრო ზრდის რუსეთის დატვირთვას კონფლიქტურ ზონებში. ამ გარემოებებიდან გამომდინარე სომხეთი კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა რუსეთის კეთილ ნებაზე მაგრამ, რეალურად, სომხეთს არც არასდროს ჰქონია საკუთარი თავის იმედი აზერბაიჯანთან დაპირისპირებაში.

ირანის ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში

⁸ „სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი შეთანხმდნენ მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტაზე“ – 10.2020 - <https://www.radiotavisupleba.ge/a/30939187.html>

ირანი ერთ - ერთი მნიშვნელოვან რეგიონულ ძალას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში. საქართველოს და ირანს შორის ძირითადად ეკონომიკურ დონე ხდება თანამშრომლობა. ⁹ირან - აზერბაიჯანის ურთიერთობა ძირითადად კონფლიქტური დამოკიდებულებით შემოიფარგლება, რაც გარკვეულ წილად რაღაც გავლენას ახდენს ირან - სომხეთის ურთიერთობაზეც. ირანსა და აზერბაიჯანს შორის დამაბულობა მიუთითებს საკუთარ ქვეყანაში 20 მილიონი აზერბაიჯანელის ცხოვრების ფაქტზე, ირანი აზერბაიჯანულ ნაციონალიზმსა და ირედენტოზმს უფრთხის. ირანი ცდილობს კონტროლ ქვეშ მოაქციოს ის გარემოება, რომელიც აზერბაიჯანის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას შიგნიდან შეურყევს საფუძველს. ირანიდან წარმოსული სსაფრთხის განეიტრალებას აზერბაიჯანი ისრაელთან და აშშ-სთან დაახლოებით ცდილობს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანი სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვან აქტორად იქცა. ¹⁰1990-იან წლებში ირანის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იმისკენ, რომ ირანი მეტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში და განსაკუთრებული გავლენა უნდა ჰქონოდა რეგიონზე. იმ პერიოდში ირანს ერთი პრობლემა ჰქონდა, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ვერ უწევდა, თურქეთსა და აშშ-ს მეტოქეობას. ამასთანავე იმის საფრთხეც არსებობდა, რომ იგი რუსეთთან, თავის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორთან, შესულიყო კონკურენციაში. ირანის სტრატეგიულმა ინტერესებმა აზერბაიჯანთან დაკავშირებით, და ასევე აზერბაიჯანის მზარდმა ერთიანობამ მოსკოვთან მრავალ რეგიონულ თუ სხვა საკითხებში, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თავისი მეორე მეზობლის, სომხეთის პოლიტიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ქრისტიანულ სომხეთსა და შიიტურ ირანს შორის ურთიერთობა სხვაგვარად შეიძლება წარმოგვედგინა, ეს ორი ქვეყანა რეგიონში სტრატეგიული პარტნიორია. 1990-იანი წლების მოვლენების შემდეგ

⁹ „Challenges to the South Caucasus regional security aftermath of Russian–Georgian conflict: Hegemonic stability or new partnership?“ – 10.2010 - <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366510000382>

¹⁰ The South Caucasus Factor of the United States-Russia-Iran Triangle – 16.2019 -

<https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/south-caucasus-factor-united-states-russia-iran-triangle>

სომხეთი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და თავისი უახლოსი მოკავშირე რუსეთის გარდა კიდევ ჭირდება სხვა სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ანტი აზერბაიჯანული განწყობები გამოიჩინებდა.¹¹ მართლაც შედგა ესეთი ალიანში, დღემდე არსებობს. ზემო ხსენებულიდან შეგვიძლია, მოსკოვი - ერევანი - თეირანის კოალიციაზე ვისაუბროთ, რომელიც გარკვეულ წილად პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკის განმსაზღვრელია კავკასიაში. ამ ყველაფერს ხელს უწყობს ძლიერი სომხური დიასპორა ირანში, რომელიც ერთ - ერთი უდიდეს და უძველეს ქრისტიანული სათვისტომოდ ითვლება ირანში.

აღსანიშნავია ირან - საქართველოს ურთიერთობები, 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, თბილისსა და თეირანს შორის ურთიერთობა, ადრეულ წლებთან შედარებით, ნაკლებად ინტენსიურად მიმდინარეობდა. 1990-იან წლებში, მოკლე პერიოდის განმავლობაში, საქართველო და ირანი კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს ცენტრალური ნავთობსადენის მშენებლობის საქმეში კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორიდან, რომელსაც ნავთობი გარე ბაზარზე უნდა გაეტანა. საბოლოო ჯამში ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა 2000-იანი წლების შუაში დასრულდა, რითიც „გეოპოლიტიკურ“ შეჯიბრი ირანსა და საქართველოს შორის სამუდამოდ დასრულდა. აგვისტოს ომის შემდეგ, თბილისმა კიდევ ერთხელ სცადა ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარება მახლობელ რეგიონებსა თუ ოკეანის გაღმა, რათა მოეპოვებინა ახალი ბაზარი თავისი პროდუქტისთვის, რომელიც რუსულ ბაზარმა დიდი დროით აკრძალა. ირანულ ბაზარზე არსებობდა მოთხოვნა სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე და ის დაკარგული რუსული ბაზრის სასურველ შემცვლელად მიიჩნეოდა. მას შემდეგ საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვა წელიწადში 200 მილიონი დოლარს მიაღწია. ირანის მხრიდან გამოითქვა სურვილი თანამშრომლობის შავი ზღვის ქართული ნავსადგურის, ბათუმის მიმართ საკუთარი პროდუქციის დასავლურ

¹¹ What's Iran's role in the Armenia-Azerbaijan clash? – 19.2020 - <https://www.trtworld.com/magazine/what-s-iran-s-role-in-the-armenia-azerbaijan-clash-40114>

ბაზარზე ექსპორტისთვის, რათა გარკვეულ კონკურენციაში შესულიყო თურქეთთან, ასვე მას სურდა თავი აერიდებინა იმდროინდელ სატრანზიტო მარშრუტზე, რომელიც თურქეთზე გადიოდა.¹² თუმცა, საერთო ჯამში, ირანისა და ირანელი ბიზნესმენების წილი ქართულ ეკონომიკაში საგრძნობლად ჩამორჩება თურქეთისა და თურქი ბიზნესმენების წილს. მიუხედავად ორმხრივი თანამშრომლობისა ენერგო მიმართულებით, ირანული ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტიც მცირეა, რადგან ქართულ ენერგობაზარზე აზერბაიჯანი დომინირებს.

თურქეთის ინტერესი სამხრეთ კავკასიაში

კავკასიის რეგიონი ესაზღვრება ნატოს წევრ თურქეთის რესპუბლიკას, რომელიც თავის მხრივ სტრატეგიულად აკონტროლებს მოსაზღვრე ზონას. საბჭოთა კავშირის დაშლამ და კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოჩენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთის რეგიონალური პოლიტიკის ფორმირებაზე. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, თურქეთს კავკასიასთან მიმართებაში საკმაოდ ამბიციური მიზნები გაუჩნდა, მიზნად დაისახა თავის წარმოჩენა წამყვან რეგიონალურ ძალად და შეესუსტებინა რუსეთის ინტერესები რეგიონში. თურქეთის დაინტერესებას სამხრეთ კავკასიით მრავალი ასპექტებით არი განპირობებული. „ცივი ომის“ დასრულებამდე თურქეთის რესპუბლიკა კარგად ართმევდა თავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დავალებას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. დაპირისპირების პერიოდში იგი ასრულებდა შემაკავებელი რგოლის ფუნქციას და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მან და დასავლეთის სტრატეგებმა სამხრეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარებით, პრაქტიკულად გააფართოვეს თავიანთი გეოპოლიტიკური არეალი, ხოლო რუსეთს კი

¹² How tense relations between Iran, US affect Georgia? – 15.2019 - <https://www.georgianjournal.ge/politics/35823-how-tense-relations-between-iran-us-affect-georgia.html>

გარკვეული დოზით შეუმცირეს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის გეოპოლიტიკური სივრცე.¹³ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრინციპები და შესაბამისად შეიცვალა მისი მიდგომებიც რეგიონთან მიმართებაში. ანკარის ერთ - ერთი მთავარი მიზანი გახდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის აღიარებით, ანკარამ დასავლურ კურსს კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. თურქეთი გამუდმებით ცდილობს პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებასაც რეგიონში. მას შემდეგ, რაც გადაიხედა სამხრეთ კავკასიის მიმართ თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი და შეიცვალა მისი მიდგომები რეგიონთან, დღეს თურქეთი ცდილობს საკუთარი ძალის დემონსტრირებას სამხრეთ კავკასიაში. ამ მხრივ, თურქეთის დიპლომატია აქტიურად მუშაობს ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. მიუხედავად თურქულ - სომხურ ურთიერთობების უკიდურესი გაუარესებისა, ანკარამ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს და საერთაშორისო საზოგადოებას რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების დარეგულირების რამოდენიმე მოდელი შესთავაზა. ერთ - ერთი მოდელი იყო რეგიონში უსაფრთხოების საკითხის კუთხით 2008 წელს საქართველო - რუსეთის აგვისტოს ომის სტაბილიზაცია. ამ პროექტის სახელწოდება „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმით“ განისაზღვრა. ინიციატივის ფუძემდებელი თურქეთის ყოფილმა პრემიერ - მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა იყო, რომელმაც 2008 წლის 11 აგვისტოს მოსკოვში, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისას გააჟღერა.

საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორ სახელმწიფოდ იქცა. საქართველოს სურვილი იყო რეგიონში შეესუსტებინა რუსეთის პოლიტიკური გავლენა და მან ლეგიტიმურად მხარი დაუჭირა ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის პროექტს. საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად, ორი ათეული

¹³ As Turkey-Russia ties warm, will Georgia be left out in the cold? – 4.2020 - <https://www.mei.edu/publications/turkey-russia-ties-warm-will-georgia-be-left-out-cold>

წელია, თურქეთის მთავრობა ზრდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. ანკარა თბილისს განიხილავს როგორც სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ერთგულ პარტნიორს. რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და მუდმივად აღვივებდა ერთნო კონფლიქტებს, თურქეთი მუდმივად მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ის ყოველთვის გამოხადავდა მზაობას რუსეთ - საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების კუთხით შუამავლის როლი შეესრულებინა.

პოსტსაბჭოთა სივრცე და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო სატრანზიტო დერეფანი და გეოსტრატეგიული დავის საგანი გახდა ისეთი აქტორების მხრიდან, რომელიც დღეს ქმნიან გეოპოლიტიკურ სურათს. რუსეთი და თურქეთი კვლავ მეტოქეებად ითვლებიან კავკასიაში დომინანტობის მოპოვების კუთხით, თუმცა ამ კონკურენციის მიუხედავად, ამ ქვეყნებს შორის გარკვეული დაახლოების პროცესიც დაიწყო. ქვეყნების ეკონომიკურ და ენერგო საკითხებში თანამშრომლობა ურთიერთსტრატეგიული აღმოჩნდა მათთვის.

ბიბლიოგრაფია

1. „ამერიკა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება“ - 18.2017 - <https://www.amerikiskhma.com/a/experts-speaking-about-georgias-territorial-integrity-/3949348.html>
2. „პირობითი ჩართულობა აშშ - ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში“ – 6.2018 - https://ge.boell.org/ka/2018/02/06/pirobity-chartuloba-ashsh-sakmianoba-samxret-kavkasiashi#_ftn1
3. „სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი შეთანხმდნენ მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტაზე“ – 10.2020 - <https://www.radiotavisupleba.ge/a/30939187.html>

4. Malek. M - „, NATO and the South Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia on Different Tracks” – 7.2008 – pp 30-35
5. As Turkey-Russia ties warm, will Georgia be left out in the cold? – 4.2020 - <https://www.mei.edu/publications/turkey-russia-ties-warm-will-georgia-be-left-out-cold>
6. Challenges to the South Caucasus regional security aftermath of Russian–Georgian conflict: Hegemonic stability or new partnership?” – 10.2010 - <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366510000382>
7. Iran's Role in the South Caucasus and Caspian Region: Diverging Views of the U.S. and Europe – 10.2003 - <https://www.belfercenter.org/node/89731>
8. How tense relations between Iran, US affect Georgia? – 15.2019 - <https://www.georgianjournal.ge/politics/35823-how-tense-relations-between-iran-us-affect-georgia.html>
9. What’s Iran’s role in the Armenia-Azerbaijan clash? – 19.2020 - <https://www.trtworld.com/magazine/what-s-iran-s-role-in-the-armenia-azerbaijan-clash-40114>
10. The South Caucasus Factor of the United States-Russia-Iran Triangle – 16.2019 - <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/south-caucasus-factor-united-states-russia-iran-triangle>
11. Russia and Turkey in the Black Sea and the South Caucasus – 20.2019 - <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/western-europemediterranean/turkey/250-russia-and-turkey-black-sea-and-south-caucasus>
12. Russia’s Stony Path in the South Caucasus – 20.2020 - <https://carnegieendowment.org/2020/10/20/russia-s-stony-path-in-south-caucasus-pub-82993>
13. NATO’s partners in the South Caucasus – 10.2012 - https://www.nato.int/cps/en/natohq/news_89866.htm?selectedLocale=en

თურქეთის კავკასიური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლები

მაია მანჩხაშვილი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა მუდმივად დამუშავების პროცესშია თურქული დიპლომატიის მესვეურთა და ანალიტიკოსთა მიერ.

თურქეთისათვის სამხრეთი კავკასია განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი, რაც თურქეთი ახალ დოქტრინაზე გადავიდა და ამ დოქტრინის მიხედვით ეს რეგიონი ხაზგასმით დიდი მნიშვნელობის მქონეა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თურქეთისათვის რამდენიმე ასპექტის გამოა მნიშვნელოვანი: 1) აზერბაიჯანის ფაქტორი – ამ რეგიონის ერთადერთი თურქეთის მონათესავე ერი/სახელმწიფოა. თურქულ პრესაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ამ კავშირში გარდა ნათესაობისა, თურქეთისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი რესურსების საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა თურქეთისათვის ბუნებრივი რესურსების შეღავათიან ფასებში მიყიდვის საკითხს გადახედა თავის დროზე სომხეთთან დაწყებული დიალოგის გამო, თურქეთისათვის ამ რესურსების თურქეთის მიმართულებით გატარება მაინც უმნიშვნელოვანესი და ხელშეუხებელი თემაა. 2) სამხრეთ კავკასია არის ხიდი თურქეთისათვის, რათა დაუკავშირდეს ცენტრალური აზიის ხალხებს. ეს კავშირები თურქეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა, როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. 3) გასაღების ბაზარი – სამხრეთ კავკასია – საქართველო და აზერბაიჯანი – თურქეთის რესპუბლიკისათვის

გასაღების კარგ ბაზარს წარმოადგენს, ვინაიდან ყოველწლიურად ათეულობით ათასი ტონა უამრავი სახეობის პროდუქცია შემოდის სამხრეთკავკასიურ (სომხეთს თუ არ ჩავთვლით) ბაზარზე. და ბოლოს 4) იმისთვის, რომ თურქეთი ევროპული უსაფრთხოების სისტემის განუყოფელი ნაწილი იყოს, აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი ბუნებრივი რესურსების გზაზე თურქეთი მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს. ამდენად, სამხრეთ კავკასიური მიმართულების წარმატებით ამუშავება თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური აზიისაკენ მიმავალი პოლიტიკური არხების გამართულ მუშაობასთან კორელაციაშია.

თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაზე მომუშავე ფაქტიურად ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ეს მიმართულება კრიტიკულად სტრატეგიულია. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნების დღიდან ყველა მისი პოლიტიკური ლიდერი ღიად აცხადებდა, რომ სამხრეთ კავკასიურ მიმართულებას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. პირველი ამის შესახებ თავად მუსტაფა ქემალ ათათურქი (Gazi Mustafa Kemal Atatürk _ 1881-1938; თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი (1923 წელი) და მისი პირველი პრეზიდენტი) ამბობდა ჯერ კიდევ 1920 წლის 8 თებერვალს საქართველოდან ჩასული დელეგაციის წარმომადგენლებთან: “ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობლიობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი – ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი. საქართველომ და თურქეთმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც გახდნენ თავისუფალნი” (სვანიძე, 2005: 10.).

თურქი მკვლევარი მუსტაფა აიდინი თავის შრომებში წერს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთს დრო დასჭირდა ახალ რეალობაში

ადაპტირებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სამხრეთკავკასიური პოლიტიკის ფორმირება და ე.წ. „დიდ თამაშში“ ჩართვა რუსეთთან, ირანთან და აშშ-თან ერთად (Aydin, 2002: 64).

მართალია, თურქეთმა თავდაპირველად სწორება კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმ თემზე აიღო, მაგრამ მალე კავკასიის დანარჩენი მოსახლეობაც მისი ინტერესების არეალში მოექცა. ასევე, გააცნობიერა რა თურქეთმა, რომ მის პან-თურქულ იდეებს განვითარების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა, დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება სამხრეთ კავკასიაში. აზერბაიჯანთან მიმართებით ეს რთული არ იყო. ასევე, საქართველოსთან. რაც შეეხება სომხეთს, თურქული დიპლომატია ცდელობას არ აკლებს, აღადგინოს სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობები ამ ქვეყანასთან. მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიუხედავად, თურქეთს დიდი სურვილი აქვს ორმხრივი კავშირების გაღრმავების (Aydin, 2002: 45).

თურქი ექსპერტი კერიმ ჰასი, მის ერთ შრომაში საინტერესოდ ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონები, რომლებიც თურქეთმა აღმოაჩინა, იყი კავკასია, ცენტრალურ აზიასთან ერთად თავისი ისტორიული, ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური კავშირებით“ (Xac, 2016: 12).

ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში გაიანე ნოვიკოვა თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას, განსაკუთრებით „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (AKP) ხელისუფლების სათავეში მოსვლის პერიოდიდან გარკვეულ მიზნებზე ორიენტირებულად ახასიათებს; ეს მკვლევარი თურქეთს დინამიურად მზარდ ძალად მოიხსენიებს ევრაზიის კონტინენტზე და ამბობს, რომ განსაკუთრებით 2002 წლიდან თურქეთი პრაგმატულ საგარეო პოლიტიკურ კურსს ატარებს რუსეთთან და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან მიმართებით. მაგრამ, ამ რეგიონს მაინც მეორე ხარისხოვან რეგიონად ახასიათებს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში და ამბობს, რომ ეს რეგიონი თურქეთისათვის პრიორიტეტული გახდება

მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება თურქეთის პრობლემები აშშ-თან და ევროკავშირთან (Novikova, 2010: 134.); გაიანე ნოვიკოვას თქმით, თურქეთი არაა დომინანტი ძალა სამხრეთ კავკასიაში: „მისი სტრატეგიული ინტერესები და პრეტენზიები რეგიონული ძალაუფლების როლს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება. სამხრეთ კავკასიაში რუსული და თურქული ინტერესების ცვალებადობა კონფლიქტის დამატებით პოტენციალს ქმნის რეგიონის ქვეყნებს შორის“. ავტორი თვლის, რომ თურქეთს არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსები, რომ უფრო ღრმად ჩაერიოს სამხრეთ კავკასიის საკითხებში, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურია თანამშრომლობა რეგიონის ორ სახელმწიფოსთან (Novikova, 2010; 134.).

სერგეი მარკედონოვის თქმით სამხრეთ კავკასია არის გეოპოლიტიკური მეტოქეობის ობიექტი რუსეთსა და აშშ-ს შორის. ვაშინგტონის ინტერესები ამ რეგიონში „ენერგეტიკული პლურალიზმით“ არის განპირობებული ანუ ალტერნატიული გზების მოძიებით ნავთობისა და გაზის ევროპისათვის მიწოდებისათვის (Markedonov, 2016: 9.).

მკვლევარი ალი ალიპური კარგად იცნობს თურქეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თავის შრომებში სიღრმისეულად აანალიზებს თურქეთის როლს ამ რეგიონის გეოპოლიტიკაში, მის კავშირებს და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აზერბაიჯანთან და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ თურქეთის ეკონომიკას არ შესწევს უნარი ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში (Alipour, 2015: 192.). ალი ალიპური მაინც თვლის, რომ თურქეთი სავარაუდოდ ვერ მიაღწევს თავის მიზნებს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფაქტორის გამო, ვინაიდან თურქეთის პოლიტიკა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ მაინც აქტიური პოლიტიკის გამტარებელ ძალად დარჩება (Alipour, 2015: 192.).

ავტორების რეზეკა ბრიანტი და მეტე ჰათაი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ თურქეთის რეგიონულ ძალად მოხსენიებას. მათ აქვთ კითხვის ნიშნები იმასთან

მიმართებით, არის თუ არა ეს ქვეყანა შინაგანად უკვე ჩამოყალიბებული? დასავლური ცივილიზაციაა თუ აღმოსავლური? ისინი სვამენ კითხვას: თუ თურქეთი რეგიონული ძალაა გლობალური ამბიციებით, რაში მდგომარეობს თურქეთის გლობალური ხედვა? ეს ავტორები თურქეთის ურთიერთობებს შავი ზღვის აუზის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ახასიათებენ, როგორც "კონკურენტუნარიანი თანამშრომლობა" რუსეთთან, რომელთანაც მას აქვს ძლიერი ვაჭრობა და სხვა ტიპის ურთიერთობები (Bryant, Hatay, 2013; 8.).

თურქი ავტორი კემალ კირიშჩი თურქეთის სამხრეთ კავკასიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მხარს უჭერს თურქეთის მხარდაჭერით "რბილი რეგიონალიზმის" იდეის განხორციელებას, როგორც არაფორმალურ და პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტ ვაჭრობას მეზობელ ქვეყნებთან. მას სჯერა, რომ თურქეთს შეუძლია იყოს წარმმართველი ძალა ამ პოლიტიკის რეგიონში. ავტორი ამბობს, რომ ბოლოდროინდელი ეკონომიკური ჩავარდნის მიუხედავად, თურქეთი რჩება ყველაზე დიდ ეკონომიკად რეგიონში და სატრანზიტო ჰაზად ჩინეთიდან მომავალ სავაჭრო გზაზე (Kirişçi, Moffatt, 2015: 71.).

სრული სურათის შესაქმნელად და იმისათვის, რომ ნათელი გახდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების იდეოლოგიური საფუძვლები, უნდა განვიხილოთ თურქეთის რესპუბლიკის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა.

შეიძლება ითქვას, რომ 2001 წლიდან ახალი იდეოლოგიური დოქტრინით იმართება თურქეთის რესპუბლიკა. ეს ეს ახალი დოქტრინა მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და შედარებით დასრულებული სახით 1990-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი. მისი ავტორია თურქი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ _ Ahmet Davutoglu _ (Davudoglu, 2001: 78.). მან ამ დოქტრინის ფარგლებში ისტორიული სიღრმეებიდან _ ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პერიოდიდან დაწყებული _ თანამედროვე ეტაპამდე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები გააანალიზა და საინტერესო

დასკვნებამდე მივიდა. რატომ განვიხილავთ მაინცადამაინც ამ დოქტრინას? მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზს არაერთი თურქი მეცნიერი აკეთებს, პროფესორ აჰმეთ დავუთოღლუს თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იქნა აყვანილი და ამიტომაცაა იგი ყველაზე მეტად საინტერესო და ამიტომ კეთდება ამ ავტორზე მეტი აქცენტი. სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე კი მისი შეხედულებები აიყვანა იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომლის გამოკვეთილი ლიდერიც რეჟიმ ტაიფ ერდოღანია და რომელმაც ჯგუფმაც ეს ავტორი პოლიტიკაში დაპატიჟა მისივე ხედვების განხორციელებისათვის. ამიტომ, სწორედ ამ ავტორის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თურქეთის საგარეო პოლიტიკის სწორი ანალიზისათვის. მისი კონცეფცია განხილურია შრომაში – სტრატეგიული სიღრმე – Stratejik Derinlik.

ახალი დოქტრინის მიხედვით, ჯერ კიდევ ქემალ ათათურქის მიერ თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნებისას ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა იმ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე მოხდა, რომელიც შექნილი იყო მაშინდელ მსოფლიოში: ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, თურქეთი იძულებული იყო გადარჩენაზე ეზრუნა და ხელი აეღო იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. ეს მიზანი კარგადაც შესრულდა. საჭირო იყო გაგრძელებულიყო პროცესები და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ახალ საშინაო თუ საგარეო მიზნებზე ეზრუნათ ახალ პოლიტიკურ რეალობაში. თურქეთის რესპუბლიკა ჯერ კიდევ შიდა რეფორმებით იყო დაკავებული, როცა სამყარო ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგში – ცივი ომის ეპოქაში – შევიდა და თურქეთმა ვერ მოასწრო კარგად გაენალიზებინა და ფეხი აეწყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისათვის. ცივი ომის პერიოდში, ავტორის მიხედვით, ორპოლუსიანი სისტემის შექმნით განპირობებულმა წესრიგმა უარყოფითად იმოქმედა თურქეთზე, ეზრუნა ალტერნატიული სტრატეგიებისა და მასთან დაკავშირებული ტაქტიკური მანევრების განვითარება/განხორციელებაზე. შესაბამისად, მთელი ცივი ომის განმავლობაში თურქეთი დამოკიდებული აღმოჩნდა ორ მთავარ პარამეტრზე,

რომელიც არ აძლევდა მას დამოუკიდებელი პოლიტიკის დაგეგმვის საშუალებას: 1) საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ დასავლეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნა (ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა არ იყო თურქეთის მიზანი. მან, როგორც ახალ დამოუკიდებლობამიღებულმა ქვეყანამ, დროულად ვერ გააცნობიერა მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები) და 2) „დიპლომატიური არეალის ინდექსირება“ ევროკავშირში მყოფ საბერძნეთთან. ანუ, თუ თურქეთს სურდა მიეღო ადგილი ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, მისი პოლიტიკა საბერძნეთთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკის მსგავსი ან მასთან მიახლოებული უნდა ყოფილიყო. ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა კი თურქეთს საკუთარი გავლენის სფეროების შექმნისა და სხვა ალტერნატიული ძალის ცენტრების უგულვებელყოფის ფასად დაუჯდა. ავტორი აკ. დავუდოღლუ ერთგან ხაზს უსვამს, რომ თურქეთის „ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნაც იმის შიშით იყო განპირობებული, რომ არ ჩამორჩენოდნენ ბლოკის შიგნის პროცესებს საბერძნეთის გამო“ (Davudoğlu, 2001: 236).

აჰმეთ დავუთოღლუს მოსაზრებით, ცივი ომის განმავლობაში თურქეთი ატარებდა პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარებისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარების ნაცვლად, საზღვრის გასწვრის უსაფრთხოების ხაზების შექმნას ემყარებოდა, რაც დიდი შეცდომა იყო და ამ ხარვეზის დაძლევა თურქული დიპლომატიის მიზანი 1980-იან წლების ბოლოს გახდა. აქ ავტორი თავად უსვამ ხაზს იმას, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით: იგი იხსენებს „ბოსნიის კრიზის“ დროს შექმნილ ვითარებას, როცა ქვეყანაში გააცნობიერეს, რომ საავიაციო ფლოტის მომარაგების კუთხით ბალკანეთის რეგიონშიც კი არ შეეძლოთ ოპერაციების ჩატარების უზრუნველყოფა. მისი აზრით, ეს საკუთარი ძალების ვერ შეფასება და ქვეყნის პოტენციალის არასწორად დანახვა იყო და არა რესურსების არქონით გამოწვეული. ეს იყო დეზორგანიზება თუ დემორალიზება მათი ძალების და შინაგანი მზაობის არქონა.

მეორე უდიდესი პრობლემა თურქეთისათვის, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იჩინა თავი, იყო ურთიერთობების აწყობა მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონებთან. თურქეთმა დაინახა რა მეზობელ რეგიონებთან მჭირდო ურთიერთობის განვითარების აუცილებლობა, დაიწყო იმ მიდგომების გადაფასება, რომლითაც ის მანამდე ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას ისიც, რომ თურქეთს ნულოვანი გამოცდილება ქონდა მის ახლანდელ მეზობლებთან ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას. თურქეთში ამ პრობლემის მოწესრიგების სხვადასხვა ხედვები გააჩნდათ მკვლევრებსა და პოლიტიკოსებს. 1990-იანი წლების განმავლობაში ამ მიმართულებით თურქეთის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ინერციით მიდიოდა. მაგრამ, ვინაიდან ამ საკითხების დარეგულირება მოგვიანებით აჰმეთ დავუთოღლუს მიანდეს, რეალიზება დაიწყო მისმა პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობდა „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ პოლიტიკას. ეს პოლიტიკური ხაზი რათქმაუნდა ნიშნავდა არა იმას, რომ თურქეთს პრობლემები არ გააჩნდა მეზობლებთან, არამედ იმას, რომ ურთიერთობები დაწყებულიყო სუფთა ფურცლიდან. მაგრამ, ვინაიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე ათეული წელი იყო გასული და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მსოფლიო თუ რეგიონულ პოლიტიკურ აქტორთა ინტერესები არათუ გამოკვეთილი, არამედ, ამ ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაც უკვე ამუშავებული იყო, სუფთა ფურცლიდან ურთიერთობების დაწყებაზე აპელირება პოლიტიკურ უმწიფრობას გავდა. თურქეთი თავად რომ ყოფილიყო მზად, ხაზი გადაესვა წარსულისათვის, მეზობელი ქვეყნები, მაგალითად, სომხეთი არ აპირებდა და არ აპირებს დაივიწყოს წარსული. ამიტომ, ამ პოლიტიკამ არ იმუშავა, არა მხოლოდ სომხეთის მაგალითის გამო.

პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ აღნიშნავს, რომ თურქეთს აღარ ქონდა უფლება ჩაკეტილ სისტემაში გაეგრძელებინა არსებობა, როგორც მსოფლიო პოლიტიკის რიგით ერთეულს და დაიწყო ახალ რეალობაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით, ცივილიზაციის ცენტრის შექმნა.

ახალი დოქტრინის მიხედვით, თურქეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არის საზღვაო და სახმელეთო ძალაუფლების ცენტრების გადაკვეთის ადგილი და ქვეყნის ეს გეოგრაფიული მოცემულობა არის ის უცვლელი ფაქტორი, რომლის მნიშვნელობის ხელახალი გადაფასება და აქედან გამომდინარე, კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პარამეტრების გადახედვა აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ამ პროცესებში აქტუალური გახდა კულტურული იდენტობის ძიების საკითხიც და ავტორი საინტერესოდ ხსნის ერთ მომენტს. კერძოდ, იგი ამბობს, რომ 1993- 1996 წლებში თურქეთში ისლამის პოლიტიკურ პლატფორმაზე გადასვლა დაჩქარებული წესით მოხდა: რატომ? მისი მოსაზრებით ამ პერიოდში თურქეთი ერთი მხრივ კვლავ ახალი საერთაშორისო რეალობის შესწავლითა და საგარეო პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებით იყო დაკავებული, მეორე მხრივ კი აღმოჩნდა რეალობაში, როცა პოლიტიკური კულტურის ისტორიულად უწყვეტი იდეოლოგიის საფუძვლების მქონე ძალები ავტომატურად ამოქმედდნენ. თითქოს ქვეყანა დაუბრუნდა თავის ბუნებრივ დინებას. ამ წლებში ჩატარებულმა არჩევნებმაც აჩვენა, რომ სახალხო რესპუბლიკური პარტია (CHP), რომელსაც, ერთი შეხედვით დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა და წინა პერიოდებში დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა, უკანა პლანზე გადავიდა.

როგორც ჩანს ახალი იდეოლოგიის შემქმნელი დარწმუნებულია, რომ ისლამის რელიგიის წესების ფარგლებში ცხოვრება, ანუ დაბრუნება ამ წესებთან, თურქეთის ბუნებრივი გზაა, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის წესებთან ერთად და ეს არის სწორედ ის ახალი მოდელი თურქეთის რესპუბლიკის, რომელიც მისაბადი გახდა შემდეგ ისლამური სამყაროს ფარგლებში. ამის გათვალისწინებით აკ. დავუთოღლუ აღნიშნავს, რომ ცივი ომის პერიოდის პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთისათვის მორგებული როლი აღარ შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს, ისტორიულ გამოცდილებასა და მომავლის იდეალებთან დაკავშირებულ მოლოდინებს და შემუშავდა ახალი ხედვა, ახალი მიდგომები, თუ რა გზით უნდა ევლო თურქეთს. ამ ახალი სტრატეგიის მიხედვით, პირველ რიგში უნდა გადახედულიყო სტატუს-კვოს

შენარჩუნების წარსული სტრატეგია და საერთაშორისო არენაზე თურქეთს მოქმედება უნდა დაეწყო, ხოლო მოქმედების არეალის მიხედვით პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და გეოპოლიტიკური გავლენების სტრატეგიის რეალიზებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები ასე უნდა დალაგებულიყო:

_ ახლოესი სახმელეთო აუზი: ბალკანეთი _ ახლო აღმოსავლეთი _ კავკასია;

_ უახლოესი საზღვაო აუზი: შავი ზღვა _ ადრიატიკის ზღვა _ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი _ წითელი ზღვა _ სპარსეთის ყურე _ კასპიის ზღვა;

_ უახლოესი კონტინენტური აუზი: ევროპა _ ჩრდილოეთ აფრიკა _ სამხრეთ აზია _ ცენტრალური და აღმოსავლეთ აზია (Davudoğlu, 2001: 118.).

ამ სტრატეგიის მიხედვით ევროპასთან თანამშრომლობა ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ თურქეთს აქცენტი განვითარებაზე უნდა ქონდეს აღებული. ანუ ევროპასთან თანამშრომლობას თურქეთი უყურებს, როგორც განვითარების შესაძლებლობას და არა ევროკავშირში წევრობის შესაძლებლობას. მან იცის, რომ ეს ფაქტიურად შეუძლებელია ბევრი მიზეზის გამო. ამასთან, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საინტერესო სტრატეგიული თანამშრომლობის ჯაჭვის შექმნაა შესაძლებელი მის მეზობელ რეგიონებთან და არა მხოლოდ. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის უსაფრთხოების დოქტრინის წამოყენება არის ერთიანი, ახალი თურქული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მცდელობა, მისი ინტერესების შესაბამისი რეალობის შექმნას შეუწყოს ხელი მეზობელ რეგიონებში. როცა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, სწორედ თურქეთის ახალი მიდგომებიდან უნდა ამოვიდეთ და ამ ჭრილში განვიხილოთ მისი თითოეული ნაბიჯი. ამ ჭრილში იდეოლოგიურმა დავამ წინ კიდევ ერთი საკითხი წამოსწია: ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრები, როცა დავა თურქეთის საწყისი/ფუნდამენტური/ათათურქისეული პრინციპების შეცვლას ეხება, არგუმენტად იგივე ქემალიზმის ე.წ. მეექვსე პრინციპს იშველიებენ. ეს პრინციპი

რევოლუციონიზმის/Devrimçilik სახელითაა ცნობილი და იგი მუდმივ განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. ანუ რევოლუციონიზმი თურქეთის ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს სახელმწიფოს მუდმივ გაძლიერებაზე ზრუნვასა და განვითარების მომდევნო ეტაპზე გადაყვანას ავალდებულებდა.

ეს პრინციპი თავად ქემალის მიერ სახელმწიფოს მართვის მექანიზმებში ცვლილებების შეტანასაც კი ამართლებს. როცა პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა 2017 წლის რეფერენდუმზე მოსახლეობის დასტურის მიღების შედეგად თამამად დაიწყო ცვლილებების განხორციელება, ეს ნაბიჯები რევოლუციონიზმის პრინციპში სავსებით ჯდება. სხვა საკითხია რამდენად დემოკრატიულად მიდიოდა ეს პროცესი. თავად პრეზიდენტს საჯარო გამოსვლებშიც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს იყო მიღებული მემკვიდრეობის ახალ ეტაპზე გადასვლის, ახალ სიმაღლეებამდე მიყვანისა და დემოკრატიულ საწყისებზე მყარად გადასვლის მორიგი მცდელობა. რევოლუციონიზმი, სხვა პრინციპებთან ერთად, უცვლელ პრინციპადაა გამოცხადებული თურქეთის კონსტიტუციის პრეამბულაში. ანუ თურქეთის განვითარების გეზი, მისი როლისა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილის გადაფასება უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ამ ლოგიკურ ჯაჭვშია იდეოლოგიური საწყისების გადაფასება და ახალი რეალობიდან გამომდინარე თურქეთის როლის განსაზღვრა. ხშირად არასწორადაა გაგებული ქემალ ათათურქის პრინციპების უცვლელობა. იგი განვითარების შემდეგ/მომდევნო საფეხურზე გადასვლის პრინციპის დაცვის უცვლელობაა და არა განვითარების ერთ ადგილზე ყოფნა და უცვლელობა.

ბოლოს გვინდა ვუპასუხოთ ერთ აქტუალურ კითხვას: გამოიწვევს თუ არა აჰმეთ დავუთოღლუს – ამ იდეოლოგიის ავტორის, და ქვეყნის პრეზიდენტის – რ.ტ. ერდოღანის პოლიტიკური გაყრა იდეოლოგიურ გადაფასებას თურქეთში, ჩანაცვლებს თუ არა ახალი იდეოლოგია ამჟამად არსებულს; ვფიქრობთ, ჯერჯერობით საკითხი ასე არ დგას. ამ ავტორის მიდგომები იმდენად ამბიციური, ყოვლისმომცველი და თურქეთის

ინტერესებზე მორგებულია, ნაკლებად მოსალოდნელია, მასზე უარი თქვას თურქეთის ახლანდელმა (01.01.2021 წლის მდგომარეობით) მთავრობამ. ამასთან, ამ ეტაპისათვის თურქეთი მზად არაა ახალი იდეოლოგიური გამოწვევებით დაკავდეს. მან ჯერ უკვე არსებულ გამოწვევებს უნდა გასცეს პასუხი.

მთლიანობაში, ალბად უფრო უპრიანი იქნება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში თურქეთი დიდწილად წარმატებით ახორციელებს მის პროექტებს ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, მისი პოლიტიკა წარუმატებელია და გამოსავალს ვერ ნახულობს (სომხეთის მაგალითი). რაც დრო გადის ეს პრობლემა უფრო კომპლექსური ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- _ თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 (2014), თსუ, თბილისი.
- _ მაკარაძე, ე., (2000). თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმის უნივერსიტეტი.
- _ მაკარაძე, ე. (2009). მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმის უნივერსიტეტი.
- _ სვანიძე, მ., (2005). ოსმალეთის ისტორია, ტ. 3 (1923-2000), თბ..
- _ Aydın, M., (2012). Strateji ve Güvenlik, Anadolu Üniversitesi Yayını.
- _ Aydın, M., (2012). Kafkasya'da Değişim Dönüşüm; Avrasya Üçlemesi; III. 1. Basım, VI, ss. 160-235, Kaynakça vardizin yok.
- _ Davutoğlu, Ah., (2001). Stratejik Derinlik, Ankara, Kure Yayınları, 2001.

- _ Imanbeyli, V., (2010). Kafkasya İstikrar ve İşbirliği Platformu, Central Eurasian Stidies: Past, Present and Future, Maltepe University.
- _ Kasim, K., (2011). Soğuk Savaş Sonrası Kafkasya, Ankara, USAK Yayınları.
- _ Sonmezoğlu, F . , (2006). Türk Dış Politikası, II Dünya Savaşı'ndan Günümüzde, İstanbul, Der Yayınları.
- _ Stratejik ve Güvenlik, (2012). T.C. Anadolu Üniversitesi yayınnı.
- _ Celikpala, M., (2010), Turkey as a Regional Power and the Caucasus, INSIGHT TURKEY, Vol. 9, Number/2. pp. 25-30.
- _ Fotiou, E. (2009). "Caucasus Stability and Cooperation Platform": What is at Stake for Regional Cooperation? https://www.files.ethz.ch/isn/104737/PB_16.pdf
- _ Göksel, N.S., (June, 2013). Turkey and Georgia: Zero-Problems? The German Marshall Fund of the United States, Strengthening Tranatlantic Cooperation.
- _ Iskandaryan, A., Minasyan, S., (2010), Pragmatic Policies vs. Historical Constraints: Analyzing Armenia-Turkey Relations, Caucasus Institute Research Papers, #1, January.
- _ Kakachia, K. & Cecire M. (Eds.) (2013). Georgian Foreign Policy, The Quest for Sustainable Security, Konrad Adenauer Stiftund.
- _ Manucharyan M., (2014), Armenia; Caught Between Russia and Europe, Turkish Policy Quarterly, Vol.12, No:4/Winter, s.109-114.
- _ Manchkhavili, M., (2010), Turkey and security in the Southern Caucasus: The Caucasus Stability and Cooperation Platform, Central Azia and the Caucasus, Vol. 11, issue IV, pp. 87-93.
- _ Novikova, G., (2015), The South Caucasus Between Russia and the West How Pragmatic are the Stakeholders' Approaches? Connections, Vol. 14, No. 2 (Spring), pp. 37-50.

რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები სომხეთის ხავერდოვანი რევოლუციიდან მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე

სანდრო ჯიბლაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

2020 წელს კავკასია მსოფლიო ყურადღების ცენტრში ისევ მოექცა, რისი მიზეზიც მთიანი ყარაბაღის მეორე ომი იყო. ამ სრულმასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას, გარდა მსხვერპლისა, მოჰყვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები. ომში აზერბაიჯნმა დაამარცხა სომხეთი, რის შედეგად დაიბრუნა 1988-1994 წლის ომისგან დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი, მათ შორის საკუთრივ მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილი ქალაქი შუშას ჩათვლით.

კონფლიქტის შეწყვეტაში მთავარი როლი შეასრულა რუსეთმა, რომელმაც ზავის შედეგებიდან გამომდინარე მიიღო სარგებელი საკუთარი სამშვიდობოების განთავსებისათვის, რაც მას საშუალებას მისცემს ორივე დაპირისპირებულ სახელმწიფოზე საკუთარი გავლენა უფრო გააძლიეროს. რუსეთის მიზანია შეინარჩუნოს საკუთარი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რის გამოც მას სხვა რეგიონულ თუ გლობალურ ძალებთან უწევს კონკურენციის გაწევა. რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს დასავლური სამხედრო თუ ეკონომიკური ორგანიზაციების აღმოსავლეთით გაფართოება ნატო-სა და ევროკავშირის სახით. ამიტომ რუსეთისთვის მიუღებელია საკუთარი გავლენის სფეროდ აღქმული ტერიტორიიდან რომელიმე სახელმწიფოს დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოება. ამის მაგალითი საქართველოსა და უკრაინასთან განხორციელებული სამხედრო

ინტერვენცია, რასაც წინ უძღოდა ამ სახელმწიფოების დაახლოების მცდელობა ნატოსა და ევროკავშირთან. სწორედ ამის საფრთხედ აღიქვა სომხეთში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუცია, რასაც დასავლეთმა დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

გარკვეული პარალელი შეიძლება გავავლოთ საქართველოსა და უკრაინაში მომხდარ ვარდების რევოლუციასა და ევრომაიდანს შორის. სომხეთში მომხდარ რევოლუციას დასავლეთის მხრიდან დიდი აღფრთოვანება მოჰყვა, შემდეგში კი გარდაუვალი იქნებოდა სომხეთის მხრიდან ევროპულ სტრუქტურებთან უფრო დიდი კავშირების დამყარება. გარდა დასავლეთთან მეტოქეობისა მნიშვნელოვანია თურქეთთან პაექრობის კონტექსტში განვიხილოთ სომხეთის საკითხთან დაკავშირებული დამაბულობა. თურქეთსა და სომხეთს შორის არსებობს საუკუნოვანი მტრული დამოკიდებულება. რუსეთი კი მხარს უჭერს სომხეთს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე წარმოუდგენელია თურქეთის ტერიტორიაზე სომხეთის შეჭრა, რადგან თურქეთს, როგორც ნატოს წევრს, ამ ორგანიზაციის მე-5 მუხლის საფუძველზე შეუძლია აამოქმედოს სამხედრო ძალები. ისევე როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას აქვს მის წინაშე ვალდებულება დაიცვას იგი. ყოველივე ზემოთ ნახსენები ფაქტორებიდან გამომდინარე თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი მას დაეხმარებოდა, თუმცა კონფლიქტის დასაწყისში რუსეთის პოზიცია იყო ნეიტრალური, ის დიპლომატიური მექანიზმებით მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთო, როდესაც აზერბაიჯანმა კონფლიქტში უპირატესობა მოიპოვა.

საინტერესოა რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? გავრცელებულია მოსაზრება, რომ რუსეთმა სომხეთი დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯების გამო დასაჯა. მოცემული ნაშრომი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად. ამისთვის კი საჭიროა გავაანალიზოთ რა ცვლილება მოიტანა სომხეთის

ხავერდოვანმა რევოლუციამ. რუსეთის მხრიდან სომხეთისთვის არასათანადო დახმარების მიზეზი იყო თვითონ ეს დემოკრატიული რევოლუცია თუ მის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული ნიკოლ ფაშინიანის პოლიტიკა. გამომდინარე იქედან, რომ არ შეიძლება სურათის გამარტივებული აღქმა, აღნიშნულ კვლევაში შეიძლება სხვა ფაქტორების გამოიკვეთოს, რის გამოც რუსეთმა აირჩია ასეთი პოლიტიკა. ნაშრომში განხილული იქნება ფაშინიანის როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკა. როცა რუსეთის გავლენის სფეროში არსებულ სახელმწიფოს ეხება საქმე, საშინაო პოლიტიკაც მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რადგან რუსეთის თვალსაზრისით ავტორიტარულ რეჟიმებზე უფრო ადვილია კონტროლის დამყარება.

სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია

2018 წელს სომხეთში სერჟ სარგსიანის მიერ პრემიერად გახდომას, რასაც ის ადრე გამორიცხავდა მოჰყვა სომეხი ხალხის მხრიდან ხავერდოვანი რევოლუცია, რომელსაც ნიკოლ ფაშინიანი ლიდერობდა. რევოლუციის წარმატება ცხადყო 8 მაისს ფაშინიანის პრემიერად გახდომამ, თუმცა ის ყოფილი მმართველი ძალის უმრავლესობის პარლამენტს ვერ აკონტროლებდა. ფაშინიანის ძალაუფლება საბოლოოდ გამყარდა 2018 წლის დეკემბერში მომხდარი არჩევნების შედეგად, რომლის მიხედვით მისმა კოალიციამ „ჩემი ნაბიჯი“ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ ფაშინიანს შეეძლო ის რეფორმები გაეტარებინა, რის გამოც მას ხალხმა ნდობა გამოუცხადა. მიუხედავად იმისა, რომ მან სცადა რეჟიმის დემოკრატიზაცია, ის შეზღუდული იყო რუსული გავლენების გამო, რადგან სომხეთში არსებულ წრეებს რუსეთი უმაგრებდა ზურგს. (ბატიაშვილი 2020).

მიუხედავად ამისა, ფაშინიანის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყო. ის, ოპოზიციაში ყოფნის დროს, აცხადებდა, რომ სომხურ-რუსული ურთიერთობა არა პარტნიორული, არამედ მოსაუბრესა და მსმენელის

ურთიერთობა იყო. 2017 წელს ფაშინიანი სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად მოითხოვდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირიდან გამოსვლას. ფაშინიანი მიიჩნევდა, რომ რუსეთთან დაახლოება სომხეთის სუვერენიტეტს აკნინებდა. გარდა ამისა, ფაშინიანი საფრთხედ აღიქვამდა აზერბაიჯანისთვის სამხედრო შეიარაღების მიწოდებას, რითაც რუსეთი არღვევდა მოკავშირის წინაშე არსებულ ვალდებულებას (ბატიაშვილი, 2018).

მიუხედავად ამგვარი რიტორიკისა, მოსკოვის მხრიდან ხავერდოვან რევოლუციას არ მოჰყოლია მწვავე შეფასებები. რუსული მედია, რომელიც დაახლოებულია მთავრობის აზრთან, ინფორმაციას ძირითადად შეფასების გარეშე გადმოცემდა. რამდენიმე სტატიაში განვითარებულ მოვლენას „სომხური მაიდან“ ეწოდა, თუმცა იმავე პრესასმსახურის უფროსი დიმიტრი პესკოვის განცხადება ამავე საკითხზე განსხვავებული იყო, მისი განცხადებით, სომხეთში განვითარებულ მოვლენების ევრომაიდანთან შედარება უადგილო იყო. საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა ზახაროვამაც განაცხადა, რომ ის მეისალმებოდა სომხეთში სცენარების დემოკრატიულად განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალური პირები მოერიდნენ სომხეთთან ურთიერთობის გართულებას და დაელოდნენ მოვლენების განვითარებას. ეს შეიძლება მათი მხრიდან სომხეთის წინამორბედი პრეზიდენტის სარგსიანის პოლიტიკის უკმაყოფილობის გამომხატველი იყო. რუსეთში მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი და ექსპერტი თვლიდა ხავერდოვან რევოლუციას რუსეთისათვის არასასურველ ნაბიჯად. არსებობდა შეხედულებები, რომ სომხეთში რევოლუციას ხელი შეუწყო დასავლეთმა, რომლის მიზანი იყო რუსული გავლენების შესუსტება. ამიტომაც სომხეთს აკრიტიკებდნენ რომ მას რუსეთის გარეშე არ შეეძლო არსებობა (ნიპარიშვილი, 2018).

ფაშინიანის საგარეო პოლიტიკა

ამგვარი რიტორიკის მიუხედავად, ფაშინიანი იძულებული გახდა თვალი გაესწორებინა არსებულ რეალობას, გამომდინარე იქედან, რომ სომხეთს არ გააჩნდა ძლიერი სამხედრო ძალა, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მხრიდან დახმარება. ასევე 2018 წელს პუტინთან შეხვედრის დროს, რომელიც ფაშინიანის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ მალე განხორციელდა, განაცხადა რომ რუსეთთან ურთიერთობის გადახედვა არ წარმოადგენდა აუცილებლობას, რადგან რუსეთი ისევ მეგობარ სახელმწიფოდ რჩებოდა (ბატიაშვილი, 2018). ასევე მან გამოთქვა მზაობა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში უფრო მეტად ინტეგრაციასთან დაკავშირებით. საგარეო ორიენტაციის შეცვლა ფაშინიანისთვის შეუძლებელი იყო, რადგან საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა აზერბაიჯანის და მისი მოკავშირე თურქეთის მხრიდან, ამიტომაც, მიუხედავად რეჟიმის ცვლილების მზაობისა, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო საგარეო კურსის შენარჩუნება, რაც რუსეთთან მოკავშირეობას გულისხმობს.

ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის სურვილია რუსეთის გარდა სხვა სახელმწიფოებთანაც დაამყაროს ეკონომიკური თანამშრომლობა, ის მაინც რჩება მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ. როგორც ექსპორტის ასევე იმპორტის მხრივ, რუსეთი სომხეთისთვის პირველ ადგილზე რჩება. 2017 წლიდან გაიზარდა ირანთან თანამშრომლობა. იმავე ენერგეტიკულ სექტორში ირანიდან ბუნებრივი აირის მიწოდების მაჩვენებელმაც იმატა, თუმცა რუსეთიდან ის სამჯერ მეტი გაზის იმპორტს ეწევა ვიდრე ირანიდან (Giragosian 2019). ამასთანავე რუსული გაზი უფრო ხარისხიანია. სომხეთისთვის ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარი, თუმცა აქაც არ შეინიშნება დიდი ცვლილება.

აღსანიშნავია, ფაშინიანის ვიზიტები ევროკავშირის ფარგლებში. მან პანდემიასთან ბრძოლის პერიოდში მიიღო 92 მილიონი დახმარება (Smut, 2020). სომხეთისთვის

ბოლო დროს მიღებული თანაშრომლობის ინსტრუმენტია CEPA (ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმება). ფაშინიანი BBC-სთან მიცემული ინტერვიუს დროს ამაყოფიდა სომხეთის მიღწევებით და ასევე ხშირად აპელირებდა ჟურნალ „ეკონომისტის“ მიერ სომხეთის წლის ქვეყნად გამოცხადების შესახებ. ის ასევე ხაზს უსვამდა ევროკავშირის მნიშვნელობას დემოკრატიასთან დაკავშირებული ღირებულებების დასამკვიდრებლად (14/08/2020). თუმცა უნდა ითქვას, რომ ფაშინიანის დროს არ ყოფილა რაიმე კუთხით მნიშვნელოვანი დაახლოება, ამ კუთხით უფრო აქტიურობდა ევროკავშირი, რომელიც იყენებდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატს. შეიძლება მისი მიზანი იყო სომხეთის მიერ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების ხელახლა დღისწესრიგში დაყენება (Smut, 2020).

არსებობს ორი ხედვა თუ როგორ უნდა წარიმართოს სომხეთის საგარეო პოლიტიკა, სამხედრო სფეროს და უსაფრთხოების კუთხით რუსეთი უალტერნატივოა, თუმცა არსებობს სხვა სფეროები, როგორებიცაა ეკონომიკური ურთიერთობები და დემოკრატიის გასაძლიერებლად თანაშრომლობა. ექსპერტი რიჩარდ გირაგოსიანი მიიჩნევს, რომ სომხეთს უნდა გაეკეთებინა უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს შორის არჩევანი. სომხეთი პირველს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა ავტორს მიაჩნია რომ ორივე მახასიათებელზე ზრუნვა შესაძლებელია. მისი სიტყვებით როგორც ჩრდილოეთით ასევე დასავლეთისკენ სწრაფვა. ამ პროცესში საჭიროა ევროკავშირის ჩართულობა, მათ უნდა გაგზავნონ შესაბამისი დარგის ექსპერტები, რომლებიც გააუმჯობესებენ ადმინისტრაციების ეფექტურ მუშაობას და ხელს შეუწყობენ კანონის უზენაესობას და საპარლამენტო მმართველობას (Giragosian 2019).


მეორე შეხედულების გამომხატველია სომეხთში მომუშავე მეცნიერი ვარდაზარიანი, მისი აზრით, სომხეთის დაახლოება რუსეთის გარდა სხვა ძალასთან იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი, ხოლო ამოსავალი წერტილი კი ისევ უსაფრთხოება უნდა ყოფილიყო. მიუხედავად დასავლეთის სურვილისა,

სომხეთი ვერ იქნებოდა ისეთი სახელმწიფო როგორებიცაა უკრაინა და საქართველო. ვარდაზარიანის აზრით, დაუშვებელი იყო სომხური მედიის და ექსპტების მხრიდან რუსეთის ზედმეტი კრიტიკა და რუსული ინტერესის წინააღმდეგი პროვოკაციის აყოლა ხელს შეუწყობდა მასთან ურთიერთობის გაფუჭებას (Vardazaryan, 2019).

სომეხი საზოგადოების განწყობა რუსეთის მიმართ

სომხეთის ხავერდოვან რევოლუციას ვერ განვიხილავთ სომეხი ხალხის გარეშე, რადგან მათი თანადგომით შეძლო ფაშინიანმა სასურველი შედეგის მიღება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოება ასევე დადებითად შეხვდა ფაშინიანის რეფორმებს და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. სანამ უშუალოდ მას განვიხილავდეთ თუ რამდენად მოდიოდა რუსეთთან წინააღმდეგობაში, მნიშვნელოვანია შევაფასოთ სომეხი ხალხის განწყობა. რევოლუციის მთავარი მიზეზი იყო სომხეთის წინა პრეზიდენტის სერჟ სარქსიანის მიერ ხალხის მოტყუება, რომ ის გამარჯვების შემთხვევაში არ დაიკავებდა პრემიერ მინისტრის თანამდებობას. ამას ემატებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილის მხრიდან უკმაყოფილება მათი სოციალური მდგომარეობის შესახებ, ხოლო თანამდებობის პირები ჩართული იყვნენ პატრონ-კლიენტარულ ქსელებში. ამ სისტემაში კი კორუფცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საინტერესო ფაქტია, რომ მმართველი რესპუბლიკური პარტიის რეიტინგის კლების პარალელურად, სომხეთში შემცირდა რუსეთისადმი ნდობა. ჩლჩ-ის მონაცემებით 2013 წელს გამოკითხული სომხების 83% რუსეთს სომხეთის მთავარ მეგობრად მიიჩნევდა, 2020 წელს ეს რიცხვი 57%-მდე დავიდა. ამის მთავარ მიზეზად შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ სომეხი მოსახლეობა განსაკუთრებით მწვავედ იღებს

რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანისთვის იარაღის მიყიდვის ფაქტს (პერტაია, 2020)



როგორც დიაგრამიდან ჩანს რუსეთის რეიტინგის კლება დაიწყო 2013 წელს, რა დროსაც მიუხედავად იმისა რომ სომხეთს ჰქონდა სურვილი ევროკავშირთან გაეფორმებინა ასოცირების ხელშეკრულება, რუსეთმა მასზე ზეწოლა განახორციელა, რასაც სომხეთის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი მოჰყვა. სანაცვლოდ სომხეთი ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში შევიდა. შეიძლება სწორედ ესეც გახდა იმის მიზეზი, რომ 2015 წლის შემდეგ რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი წილი საზოგადოებიდან შემცირდა, რადგან ევრაზიულმა კავშირმა ხელშესახები შედეგი სომხებს ვერ მოუტანა ეკონომიკური კეთილდღეობის კუთხით, მიუხედავად საერთო ეკონომიკური ზრდისა. რუსეთის მიმართ უკმაყოფილება 2016 წლის 4 დღიანი ომის შემდეგ გაიზარდა. მიუხედავად იმ კონფლიქტის მცირე მასშტაბისა, რუსეთი მაშინაც ნეიტრალური პოზიციით გამოვიდა. მოსახლეობამ უკმაყოფილება კი მკვეთრად გამოხატა რუსეთის საელჩოს წინ, ხოლო პოლიცია მომიტინგეების წინააღმდეგ არ მოქმედებდა ხისტად. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე შეგვიძლია სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია

ირიბად რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას დავუკავშიროთ. მოსახლეობა ვერ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ, რადგან აზერბაიჯანი ზრდიდა შეიარაღებას. გარდა ამისა, იმავე სოციალური მდგომარეობის და კორუფციაზე გავლენა რუსეთს ჰქონდა, რადგან ის სომხეთის ეკონომიკის წამყვან დარგებს დაეუფლა. რუსეთისადმი დამოკიდებულება გაზრდილი იყო ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციის მიმართულებით (პერტაია, 2020) .

ფაშინიანის ნაბიჯები და რუსეთის რეაქცია

სომხეთში დაწყებული ცვლილებების ერთ-ერთი მიზანი იყო კორუფციის შემცირება. ამიტომაც ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება ყოფილი მართველი გუნდის წევრების მიმართ. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სომხეთის მთავრობის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანის წინააღმდეგ საქმის აღძვრა. ამ ფაქტს მწვავე შეფასება მოყვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვის მხრიდან, რომელმაც განაცხადა რომ სომხეთის ხელისუფლება არღვევდა პირობას, რომ არ დაიწყებდა ყოფილი მმართველი წრიდან პირების პოლიტიკურ დევნას. მას შემდეგ რაც ქოჩარიანი დააკავეს სომხეთს ეწვია პუტინი, მან ამ ვიზიტისას მოინახულა რობერტ ქოჩარიანის მეუღლე ბელა ქოჩარიანი, რაც მისგან თანადგომის დასტური იყო (პერტაია, 2020). ასევე სარჩელი აღიძრა წინა პრეზიდენტის ახლობლებზე და მოქმედ თანამდებობის პირებზე. ერთ-ერთი იყო იმ დროისთვის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის იმ დროინდელი მდივანი (ორგანიზაციის მდივნის პოსტი ცვალებადია) იმ დროს კი სომხეთს უწევდა იური ხაჩატუროვის საქმის დაწყება, რასაც ამ თანამდებობის იძულებით დატოვება მოყვა. ორგანიზაციის შიგნით იყო დავა ვინ უნდა ყოფილიყო შემდეგი მდივანი, საბოლოოდ ხაჩატუროვის რუსმა მოადგილემ დაიწყო მდივნის მოვალეობის შესრულება. ამას დეკემბერში ოდკბ-ს სამიტის გადადება მოყვა, ამ დროს უწევდა

სომხეთის საპარლამენტო არჩევნები. რუსეთი და სომხეთი სამიტის გადადებას ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და მეორე მხარის განცხადებას არამართებულად მიიჩნევდნენ. 2018 წლის მარტში სომხეთმა ძეზნა გამოაცხადა არუთინიანზე, რომელიც თავდაცვის ფარგლებში დსთ-ს მინისტრი იყო, მაგრამ რუსეთმა მის ტერიტორიაზე ძეზნის მოთხოვნას უარით უპასუხა (ბატიაშვილი, 2018).

ასევე უთანხმოების საგანი იყო სომხეთში აშშ-ს მიერ დაფინანსებული ბიოლოგიური ლაბორატორიების საკითხი. ლავროვმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა რომ ფაშინიანთან შეთანხმდნენ, რომ ამ ლაბორატორიებში არ შევიდოდნენ უცხოელი სამხედროები, თუმცა ფაშინიანმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა რომ მათ ამ თემაზე არ უმსჯელიათ, ეს მოლაპარაკებები კი სომხეთის წინა ადმინისტრაციის პერიოდში მიმდინარეობდა (Kucera, 2018).

კორუფციასთან ბრძოლა უშუალოდ რუსეთის მიერ მართულ ბიზნესსტრუქტურებსაც შეეხო. გადასახადის თავიდან აშორების გამო აღიძრა საქმე კომპანია „გაზპრომ არმენიას წინააღმდეგ“, რომელიც რუსულ გაზპრომს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას რომ მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლაში და სამართლიანობის აღდგენის მცდელობებში ფაშინიანმა წარმატებებს მიაღწია, რის გამოც მისი პოპულარობა გამყარდა (ბატიაშვილი, 2018).

რუსეთისთვის სომხეთში დაწყებული ცვლილებები მიუღებია იყო, როგორც რევოლუციის შემდგომი ფაქტორიდან გამომდინარე ასევე მათთვის არასასურველი იყო ნიკოლ ფაშინიანის ფიგურა. რუსეთს სურს გავლენა შეინარჩუნოს პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე. ეს ადვილია მაშინ თუ ამ სახელმწიფოებში ავტორიტარული რეჟიმია. ასეთი შემთხვევა იყო სომხეთთან მიმართებით, თუმცა რევოლუციის შემდეგ ადრინდელი ურთიერთობის შენარჩუნება რთული იქნებოდა. დემოკრატიზაციის პროცესში მოსალოდნელი იყო იმ კლანების და დაჯგუფების შესუსტება, რომლებიც რუსეთის გავლენებს აძლიერებდა.

დასკვნა

ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლას არ გამოუწვევია საგარეო ორიენტაციის ცვლილება, ევროკავშირთან თანაშრომლობის ხარისხი უმნიშვნელო იყო. თუმცა შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმები და გადაწყვეტილებები რუსეთმა მძაფრად აღიქვა. რა თქმა უნდა რუსეთისთვის ფაშინიანი თავისი ადრინდელი განცხადებებით მიუღებელი იყო, თუმცა არ შეგვძლია მსჯელობა დავიყვანოთ იქამდე, რომ რუსეთმა მხოლოდ ფაშინიანი დასაჯა. მან სწორედ სომეხი ხალხის საშუალებით მოახერხა ხელისუფლებაში მოსვლა. თუ რუსეთის წარმომადგენლობამ უკმაყოფილება გამოხატა ფაშინიანის რეფორმებით და ანტიკორუფციული ნაბიჯებით, სომხეთის მოსახლეობამ ფაშინიანის მხარდაჭერა გააძლიერა, რისი დასტურიცაა მისი პარტიის საპარლამენტო არჩევნებში 70%-ზე მეტი ხმის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის მხრიდან არ შეცვლილა საგარეო პოლიტიკა, დემოკრატიული რეფორმები ევროკავშირისთვის მისაღები იყო. ევროპულ მედიაში სომხეთის წარმატებული დემოკრატიის წინსვლის წარმოჩენა რუსეთის ელიტისთვის გამაღიზიანებელი იყო. ყოფილი მაღალჩინოსნების და რუსეთზე დამოკიდებული ბიზნესების შესუსტება კი რუსეთმა აღიქვა საკუთარ გავლენებზე გალაშქრებად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო რუსეთის პრესტიჟის საკითხი თვითონ მის მიერ მართული საერთაშორისო ორგანიზაციების კუთხითაც. იმავე ოდკ-ს გენერალური მდივნის ხაჩატუროვის წინააღმდეგ საქმის აღძვრა. იგივე ევროკავშირიდან მიღებული დახმარება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მარცხად ჩაითვალა. რუსეთისთვის კი ეს მიუღებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი წინა წლებში ცდილობდა სარგებელი მიეღო ევროპული ქვეყნებიდან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სომეხმა ხალხმა უსაფრთხოების საკითხის გარდა, რისი კუთხითაც მთვარი საფრთხე აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მოდიოდა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სუვერენიტეტის პრობლემაც, რაც რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ამის წინააღმდეგ გამოსვლით კი სომეხებმა დემოკრატიის გაძლიერება აირჩია, თუმცა ეს ნაკლებად უკავშირდებოდა მათ

უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების ლიდერების რიტორიკა ერთმანეთის მიმართ მეგობრობის გამოხატვაზე მიუთითებდა, ფაქტია ფაშინიანი ზედმეტად ენდო რუსეთს და არაფერი გააკეთება აზერბაიჯანთან კონფლიქტი მშვიდობიანად დაერეგულირებინა. გარდა იმისა რომ რუსეთის ინტერესი ბოლო პერიოდში აზერბაიჯანის მიმართ გაძლიერდა, რუსეთი მაქსიმალურად ერიდებოდა თურქეთთან უშუალოდ დაპირისპირებას. ამიტომაც მხოლოდ დემოკრატიისთვის ზრუნვა მშვიდობის გარეშე უსაფუძვლოა. ფაშინიანისთვის ხელსაყრელი იქნებოდა წასულიყო აზერბაიჯანულ მხარესთან თანაშრომლობაზე, ნაცვლად ამისა მან მდგომარეობა გაამწვავა როდესაც ჩავიდა სტეფანაკერტში და განაცხადა რომ „არცახი სომხეთია, წერტილი“.

ომში დამარცხება, რუსეთის გავლენების გაძლიერება კი ნიშნავს იმას, რომ სომხეთის დემოკრატიული განვითარება ჩიხში შევიდა, მას მოუწევს სუვერენიტეტის ნაწილი დაუთმოს ისევ მოსკოვს, ეს კი სავარაუდოდ ისევ გააძლიერებს კორუფციას და კლანების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Giragosian R. (2019). Paradox of Power: Russia, Armenia, and Europe after the Velvet Revolution, European Council On Foreign Relations.
https://www.jstor.org/stable/resrep21639?seq=1#metadata_info_tab_contents
2. Kucera, J. (18.12.2018). Lavrov promises no "foreign soldiers" in Armenia. He wasn't talking about Russians. Eurasianet. <https://eurasianet.org/lavrov-promises-no-foreign-soldiers-in-armenia-he-wasnt-talking-about-russians>
3. Smut D. (02/06/2020), Two years after the Velvet Revolution, Armenia needs the EU more than ever, European Policy Centre.
<https://www.epc.eu/en/publications/Two-years-after-the-Velvet-Revolution-Armenia-needs-the-EU-more-than~33e910>
4. Vardazaryan M. (2019) Current Geopolitical Processes and Imperatives of Russian-Armenian Relations. http://ysu.am/files/01M_Vardazaryan-1577440224-.pdf
5. ბატიაშვილი დ. (2018). ნიკოლ ფაშინიანის მთავრობის რუსული პრობლემა, რონდელის ფონდი. <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2684>
6. პერტაია ლ. (08.07.2020), სომხეთის საზოგადოებაში რუსეთის მხარდაჭერა მცირდება - რატომ? <https://netgazeti.ge/news/466063/>
7. ნიპარაშვილი თ., ნიპარიშვილი ქ. (2018) რუსეთი და სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია. <http://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/download/178/pdf>
8. BBC HARDtalk (14/08/2020) Nikol Pashinyan - Prime Minister of Armenia
<https://www.youtube.com/watch?v=d-mzKtQbwbM>

თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

მირანდა მიქაძე, თამარ დევძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

მარეხ დევძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დიდი იმპერიების ცილობის საგანს, რაც განპირობებული იყო რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობით და რესურსებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, სატრანზიტო დერეფანი და გეოსტრატეგიული დავის საგანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებში თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა, რუსეთი და თურქეთი კვლავ მეტოქეებად ითვლებოდნენ კავკასიაში დომინანტობის მოსაპოვებლად.

ჩვენი მოხსენების მიზნია შევისწავლოთ თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, როგორია მისი გავლენის გაძლიერება საქართველოში და როგორ ცდილობს რუსეთის ჩაჩოჩებას კავკასიიდან.

თემის შესასწავლად გამოვიყენებთ კვლევის თვისებრივ მეთოდებს, კერძოდ, ლიტერატურის მიმოხილვას, რომლის საშუალებით განვაკვირებთ კვლევის თეორიულ ჩარჩოს.

ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების მასალების ობიექტური ანალიზის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსნით თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებს XX საუკუნის 90-იან წლებში.

თურქეთის ურთიერთობა კავკასიის ქვეყნებთან 1980-1999 წლებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლამდე, შეზღუდული იყო. ურთიერთობა

მთლიანად დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირზე და რეგიონის ქვეყნებში თურქეთის ოფიციალური ვიზიტი მოსკოვის გავლით და მისი მკაცრი კონტროლის ქვეშ ხდებოდა (1991-1994 წლები), ოფიციალური ანკარა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი. 1999 წლამდე კავკასიის ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობის განმსაზღვრელ ძირითად საკითხებს მთიანი ყარაბაღის პრობლემა, ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენი და საქართველოს მდებარეობა წარმოადგენდა. ყოველივე ამის გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიას და მათ შორის საქართველოს, განსაკუთრებული ადგილი ექირა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 16 დეკემბერს ანკარამ აღიარა სომხეთის დამოუკიდებლობა, მათ შორის საზღვრების საკითხი დაპირისპირების საგნად იქცა. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ყველაზე პრობლემური ურთიერთობა თურქეთს სომხეთის სახელმწიფოსთან აქვს.

თურქეთი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა, დიდ როლს თამაშობს სამხრეთ კავკასიაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის იქცა რეგიონის სამი სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლობის გარანტად. 1991 წლიდან მოყოლებული, დღემდე, ის ერთი მხრივ, იმყარებს პოზიციებს რეგიონში, მეორე მხრივ კი, უკავშირდება ევროპას და ზრდის თავის როლს ევროპაში, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფანი. ის ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარეობს თურქეთის ძალისხმევის შედეგად, უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, სტაბილურობას და უსაფრთხოების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: *თურქეთი, სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკა.*

შესავალი

სამხრეთ კავკასია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო, საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა მსოფლიოს უძლიერესი სახლემწიფოების დავის საგანს. უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასია მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის იმპერიის ბუფერულ ზონებად გადაიქცნენ.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, რუსეთის იმპერიის რღვევას მოჰყვა ახალი იმპერიის შექმნა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებით, იმპერიის ფესვებზე აღმოცენებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, რის გამოც მათი ურთიერთობა დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან და მათ შორის რა თქმა უნდა თურქეთთან, თითქმის შეუძლებელი გახდა.

საბჭოთა კავშირი, „ბოროტების იმპერია“, როგორც მას უწოდა აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1983 წლის 8 მარტს, ფლორიდის შტატში ქალაქ ორლანდოში, ევანგელისტების ნაციონალური ასოციაციის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს. განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებოდა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ყველანაირი ურთიერთობები ევროპისა თუ აზიის ქვეყნებთან, ამ მხრივ კი ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ ამ ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონები იყვნენ. ერთ-ერთი ყველაზე კონტროლირებადი რეგიონი კი სწორედ სამხრეთ კავკასია გახდა, ყველზე მეტად კი ის ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდნენ თურქეთის რესპუბლიკას. ამ ქვეყნების ნებისმიერი სახის ურთიერთობა თურქეთთან პირდაპირ კონტროლდებოდა მოსკოვიდან (მანჩხაშვილი, 2014). მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სამცხე-ჯავახეთი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ახალციხის შესასვლელთან განთავსებული იყო სპეციალური საგუშაგო, მას აკონტროლებდა საბჭოთა ჯარი და რეგიონში შესვლა და გამოსვლა მხოლოდ წინასწარ გაცემული, სპეციალური ნებართვის ე.წ.

„პროპუსკები-ს“, საფუძველზე ხდებოდა, ეს ნებართვები კი, მხოლოდ რუსულ ენაზე გაიცემოდა.

მეთოდოლოგია

ნაშრომში ძირითადად თეორიული მასალაა მოძიებული და დამუშავებული, რაც, თავის მხრივ, თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ამ ნაშრომში გამოყენებულია ერთ-ერთი ასეთი მეთოდი- შემთხვევის შესწავლა (case study), რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოვლენაზე სიღრმისეული დაკვირვება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით.

ლიტერატურის მიმოხილვა

1991 წლის 26 დეკემბერს სსრკ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირი დაიშალა. „ბოროტების იმპერიის“ დაშლას მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა მსოფლიო მაშტაბით, შესაბამისად გასაკვირი არაა, რომ ასეთი მაშტაბური ცვლილების ფონზე, ძირეულად შეიცვალა სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ვითარებაც. უპირველესად, თურქეთს მიეცა საშუალება დომინანტი გამხდარიყო რეგიონში და გაეფართოებინა თავისი რეგიონალური პოლიტიკა.

„ცივი ომის“ პერიოდში თურქეთი მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა ევროპისა და ამრიკისათვის, ის იყო შემაკავებელი რგოლი და კარგად ართმევდა თავს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დავალებას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, „თავის მხრივ თურქეთს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილი ეჭირა თავისი საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრეობის გამო. ის წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის პლაცდარმს აღმოსავლეთიდან საფრთხის პირობებში დასავლეთის დასაცავად. ის განიხილებოდა როგორც ნატოს სამხრეთი ფრონტი საბჭოთა აგრესიისგან თავდაცვის სისტემაში. თურქეთის მნიშვნელობას ზრდიდა ის ფაქტიც, რომ იგი ესაზღვრებოდა ისრაელისა და, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული

შტატების ისეთ შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს, როგორებიც არიან სირია და ირანი“ (ბერიძე, 2019).

საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა კონფრონტაცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, „ცივი ომი“. შეიცვალა პოლიტიკური დღის წესრიგი. საბჭოთა საფრთხის გაქრობასთან ერთად დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები თვლიდნენ, რომ თურქეთის ადრინდელი როლი და მნიშვნელობა იმდენად მნიშვნელოვანი აღარ იყო. შესაბამისად დაიწყეს თურქეთის ადრინდელი ფუნქციების გადანაწილება ალიანსის სხვა, ახალ წევრებზე. თავის მხრივ, შეცვლილმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა, თურქეთის პოლიტიკურ ელიტას საშუალება მისცა გადაეფასებინა საგარეო პოლიტიკური პრინციპები. მათი მთავარი ამოცანა და შესაბამისად, მიზანი გახდა თავიანთი მიდგომების ცვლილებები რეგიონთან მიმართებაში. დასავლეთ ევროპის და ამერიკის პოლიტიკური წრეებისთვის თითქოსდა უმნიშვნელო გახდა სამხრეთ კავკასია, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი ეს „უყურადღებობა“ დიდხანს არ გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც 1993 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციაში, ახალი მილიტარისტული დოქტრინა ე. წ. „ახლო საზღვარგარეთის“ კონცეფცია გამოაცხადეს, დასავლეთის ქვეყნები კვლავ დაინტერესდნენ რეგიონით. ფაქტიურად რუსეთის მიერ გამოცხადებულმა დოქტრინამ გამოაღვიძა დასავლეთი. ევროპული გეოპოლიტიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები 1994 წელს დადგნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace) კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის წინაშე. ამას კი, სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოცენებული კონფლიქტების (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) ერთიან, საშიშ კერაში გაერთიანება მოჰყვა, რის შემდეგაც თანამედროვე ევროპა დადგა მათი დარეგულირების აუცილებლობის წინაშე. სამხრეთ კავკასიის რეგიონი მოექცა დიდი ქვეყნებისა თუ კავშირების ინტერესთა სფეროში (რუსეთი, თურქეთი, ირანი, ევროკავშირი, აშშ), რაც, სამხრეთ კავკასიას უაღრესად დიდი რისკის ქვეშ აყენებდა. ასეთ ფონზე თურქეთის მიზანი იყო აღნიშნულ რეგიონში განვითარებისა და უსაფრთხოების დაცვა, რაც გაზრდიდა მის პოლიტიკურ

როლს რეგიონში. თურქეთის პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. სწორედ ამიტომ, როდესაც სამხრეთ კავკასიის სამმა სახელმწიფომ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) თავი დააღწია საბჭოთა მარწუხებას და გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ოფიციალურმა ანკარამ მაშინვე აღიარა მათი დამოუკიდებლობა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ თურქეთის და სომხეთის მწვავე ურთიერთობებს, თურქეთმა აღიარა სომხეთის დამოუკიდებლობაც, რათქმაუნდა თავისი ინტერესების გათვალისწინებით, რამაც ხელი შეუწყო რეგიონში სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შექმნას, რითაც ოფიციალურმა ანკარამ ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე. წ. „გაფართოების კონცეფციას“ (ჭიღვარია, 2010).

„თურქეთის დაინტერესებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებით მრავალი ასპექტი გააჩნია. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მან და დასავლეთის სტრატეგებმა სამხრეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარებით, პრაქტიკულად გააფართოვეს თავიანთი გეოპოლიტიკური არეალი, ხოლო რუსეთს კი მაქსიმალურად შეუმცირეს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის გეოპოლიტიკური სივრცე (მანჩხაშვილი, 2014).

თავის მხრივ, ანკარის კავკასიური პოლიტიკა მდგომარეობდა შემდეგში: „ნულოვანი დამაბულობა“ მეზობლებთან, რაც მეზობელ ქვეყნების პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებას და ეკონომიკური გარემოს განვითარებაში დახმარებას გულისხმობდა. უდავოა, რომ თურქეთისათვის ამ რეგიონს ისტორიულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობამ, ანკარას საშუალება მისცა თავისი ინტერესები გაემჟღავნებინა რეგიონის მიმართ. მათი სტრატეგიის უპირველესი ამოცანა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება გახდა. ოფიციალურ ანკარას მიაჩნდა, რომ თუ თურქეთის პოლიტიკური ელიტა შეძლებდა კავკასიის რეგიონში პოლიტიკური

სტაბილურობის შენარჩუნებას, ერთი მხრივ აიცილებდა მესამე ძალის ჩარევას და ამასთანავე, როგორც რეგიონის სტაბილურობის გარანტი და წამყვანი ძალა, გააძლიერებდა თავის გავლენას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა კავკასიის ქვეყნების თურქეთთან დაახლოებას. სტაბილური სამხრეთ კავკასია კი მისი საგარეო პოლიტიკის გამარჯვებად ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე, თურქეთი ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა ახლად წარმოქმნილ სამხრეთ კავკასიურ ქვეყნებთან დიპლომატიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

თავის მხრივ სამივე ქვეყანამ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, დაიწყო ისეთი პოლიტიკური კურსის გატარება, რომელიც საბოლოოდ გაათავისუფლებდა რუსეთის გავლენის სფეროდან.

იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს, ადვილი გასაგებია რუსეთის და თურქეთის მეტოქეობა რეგიონში დომინანტობის მოსაპოვებლად. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი თურქეთის მიერ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარებისა. რუსეთის პოლიტიკური ელიტისათვის ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა კი მიუღებელი და არასასურველი იყო.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის აღიარებით, ანკარამ დასავლურ კურსს კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. კავკასიაში შექმნილმა ვითარებამ, ეთნიკურმა პრობლემებმა, თურქეთს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, ახალი შესაძლებლობები მოუტანა. საწყის ეტაპზე, 1991-1994 წლებში, ოფიციალური ანკარა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი.

1994 წელს თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა (1993–2000) განაცხადა: „თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და იცავდა სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული მთლიანობისა და ძალის გამოყენებით საერთაშორისო საზღვრების დაცვის პრინციპებს, რომლის პატივისცემაა უმთავრესი კრიტერიუმი სტაბილურობის

მისაღწევად კავკასიაში, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სამშობლოა. ამავე დროს, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას. იმედია, ჩვენი ურთიერთობები შავ ზღვას მეგობრობისა და აღმავლობის ზღვად გადააქცევს“ (პოზიდი, 2008).

უნდა ითქვას, რომ, ბოლო პერიოდში, საკმაოდ აქტიურია ოფიციალური ანკარა და შეიძლება ითქვას, რომ ის არის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა, ვინაიდან თვლის რომ ამ ქვეყნების ტერიტორიული და პოლიტიკური სტაბილურობა შედის მის ეროვნულ ინტერესებში. ანკარას სჭირდება მშვიდი და პოლიტიკურად სტაბილური კავკასია მოკავშირედ, სწორედ ეს გვაფიქრებინებს იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი საქართველოს გაწევრიანებას ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2020 წლის იანვარში და საჯაროდ გამოუცხადა მხარდაჭერა საქართველოს ნატოს წევრობაზე. სწორედ ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის გამო ყარაბაღის კონფლიქტში თვლის, რომ ეს ტერიტორია არის აზერბაიჯანის საკუთრება (ანკარამ აზერბაიჯანს უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თურქეთისთვის საკვანძო პარტნიორს წარმოადგენს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მის გართულებულ ურთიერთობებს სომხეთთან. თურქეთს მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. თურქეთმა განავითარა მჭიდრო კავშირები საქართველოსთან, რამაც შემდგომში მიიღო სტრატეგიული პარტნიორობის სახე. საქართველოსთვის თურქეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ამავე დროს საქართველოს და თურქეთს აქვთ არაერთი ერთობლივი სატრანსპორტო თუ ენერგეტიკული პროექტი. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი პატარა სახელმწიფოს გაჩენა რეგიონში დამატებით პრობლემებს შექმნის, ამიტომაც თურქეთის ოფიციალური პირები თავის გამოსვლებში მუდმივად ადასტურებენ ამ პოზიციას.

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური ანკარა ახორციელებს საკმაოდ პრაგმატულ და სტაბილურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. ნაბიჯები, რომელიც რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ემსახურებოდა, რომელიც ასევე წარმოადგენდა რუსეთის პოლიტიკურ მარცხს კავკასიაში, იყო კასპიის ზღვის ენერგო რესურსები და მათი ტრანსპორტირება აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ხაზით. რუსეთის ჩამოშორება ენერგოპროექტებიდან აშშ-ის მთავარი ამოცანაც იყო. ასევე ერთ-ერთ ამოცანად რჩებოდა, ირანის გავლენის შემცირება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. ამ გარემოებებით მშვენივრად ისარგებლა თურქეთმა და რეგიონში ის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა.

თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან. ეს აიხსნება, როგორც ორი ქვეყნის კულტურული და ენობრივი სიახლოვით, ისე აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენმა, ისევე, როგორც „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ სამხრეთ კავკასიას შესძინა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთისათვის (მაკარიძე, 2019).

თურქეთი გახდა საქართველოს და აზერბაიჯანის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი. საქართველოში ის პირველ ადგილზეა ბიზნეს ინვესტიციებით, თურქეთმა XX საუკუნის მიწურულს აქტიური პოლიტიკის წყალობით მიაღწია რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშის სტატუსს და დასავლეთისათვის სტრატეგიული პარტნიორის იმიჯიც მოიპოვა. თურქეთის მნიშვნელობა დასავლეთისათვის განსაკუთრებით გამოიხატა შემდეგში: თურქეთი გარკვეულწილად გახდა დამაკავშირებელი ხიდი ენერგო რესურსების მომპოვებელ ქვეყნებსა (კასპიის ზღვის ქვეყნები) და ენერგომომხმარებელ ქვეყნებს შორის (დასავლეთ ევროპის ქვეყნები).

ისმება კითხვა, რამდენად მჭიდრო და პერსპექტიულია თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა და რა განაპირობებს შიიტური აზერბაიჯანის, მართლმადიდებელი საქართველოსა და სუნიტური თურქეთის კავშირს?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტებია, რადგან მათ წარმოშობაში საქართველო და აზერბაიჯანი რუსეთს ადანაშაულებენ, რამაც განსაზღვრა შემდგომში თურქეთის სასარგებლოდ მათი პოლიტიკური კურსი.

ყოველივე ამან კი გამოიწვია რუსეთის გავლენის შესუსტება საქართველოზე და აზერბაიჯანზე. რაც შეეხება საქართველოს და აზერბაიჯანს, ისინი არსებული პოლიტიკური კავშირებით და ეკონომიკურ პროექტებში ჩართულობით ცდილობენ რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლას, თუმცა, არსებული კავშირები არ აღმოჩნდა საკმარისი საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრე რუსეთის ფედერაციისაგან თავის დახსნისათვის, რომლის უმთავრეს კოზირს, რეგიონში გავლენის შენარჩუნებისთვის, ეთნიკური (აფხაზეთი და ოსეთი) და ეროვნული (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად ასევე გვევლინება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა არა ერთგვაროვანი პოლიტიკა. აზერბაიჯანი, რომელიც წარმოადგენს პროთურქულ ქვეყანას და ასევე ცდილობს შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან, სომხეთი, რომელსაც საზღვარი აქვს ჩაკეტილი თურქეთთან და წარმოადგენს რუსეთის სატელიტს რეგიონში და საქართველო, რომლის პროდასავლური ორიენტაცია განსაკუთრებით აღიზიანებს რუსეთს, რომელსაც საქართველოს 20 % ოკუპირებული აქვს.

თანამედროვე პოლიტოლოგიის კლასიკოსი ზბიგნევ ბჟეჟინსკი წერდა: „თურქეთის ევოლუცია და ორიენტაცია, როგორც ჩანს, განმსაზღვრელ როლს თამაშობს კავკასიის სახელმწიფოთა მომავალში, თუ თურქეთი მყარად გაივლის გზას ევროპისაკენ, ევროპა კი მას კარს არ ჩაუკეტავს, მაშინ კავკასიის სახელმწიფოები, როგორც ჩანს, ასევე ჩართულები იქნებიან ევროპის ორბიტაზე... თუ თურქეთის ევროპეიზაციამ კრაზი განიცადა საგარეო და საშინაო მიზეზებით, მაშინ საქართველოსაც და სომხეთსაც არჩევანი აღარ დარჩებათ, გარდა იმისა, რომ შეეგუონ რუსეთის ინტერესებს...“ (ბჟეჟინსკი, 2014).

მისივე აზრით, ამერიკამ უნდა „ხელი შეუწყოს თურქეთის ევროპის კავშირში დროულად შესვლას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ თურქეთს მოექცნენ, როგორც ევროპულ ქვეყანას იმ პირობებით, რომ თურქეთის საშინაო პოლიტიკაში არ მოხდება მკვეთრი გადახრა ისლამური მიმართულებით“ (ბზეჟინსკი, 2014).

უნდა ითქვას, რომ როგორც რეგიონის, ასევე მსოფლიო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია თურქეთის საბოლოო ადგილის დადგენა. ბოლო პერიოდში თურქეთის პოლიტიკური ელიტის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა დაგვანახა, რომ თურქეთის რესპუბლიკა ნელ-ნელა ივიწყებს ათათურქის გზას, სეკულარული რესპუბლიკიდან თანდათან ხდება ისლამისტური იდეოლოგიის ქვეყნა. ათათურქის „ვესტერნიზაციის“ ჩანაცვლება ხდება „ევრაზიულობით“, რაც ვფიქრობთ დამღუპველია თურქეთის დემოკრატიული პოლიტიკისა და ღირებულებებისთვის. არასტაბილური და უცნაურია ურთიერთობა რუსეთთან, ან მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანთს, ან პირიქით, მოკავშირეებად წარმოგვჩენენ თავს.

ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ რუსეთმა რეგიონში სამშვიდობოები განალაგა. შეთანხმების მიხედვით, რუსეთი და თურქეთი ერთობლივად დააკვირდებიან შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტაზე. ამასთანავე, როგორც სააგენტო Reuters-მა გაავრცელა ინფორმაცია, 11 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა, ბაქოში კოლეგებთან განიხილა კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმა ე.წ. 3+3. ერდოღანმა თქვა, რომ რეგიონალური პლატფორმა, რომელიც მოიცავს რუსეთს, თურქეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ირანს და სომხეთს, ყველასათვის მომგებიანი იქნება და რომ ვლადიმერ პუტინიც დაინტერესებულია იდეით, რომ კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმამ შესაძლებელია ახალი ფურცელი გადაშალოს სომხეთთან ურთიერთობაში, თუ ერევანი „პოზიტიურ ნაბიჯებს“ გადადგამს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მნიშვნელოვანია, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ისინი საერთაშორისო არენაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონის პატარა სახელმწიფოები არიან (სამხრეთ კავკასია ხშირად განიხილება, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი). მათი საგარეო პოლიტიკური კურსი კი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს არაერთი საერთო მახასიათებელი გააჩნიათ. მათ საერთო ისტორია აქვთ (ისინი ჯერ სხვადასხვა იმპერიების, ბოლოს კი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ); ყველა მათგანი იზიარებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეობას.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც თურქეთს არ აქვს დიპლომატიური კავშირები, არის სომხეთი. თურქეთ-სომხეთის ურთიერთობაში დღესდღეობით სერიოზული პროგრესი არ არის, ქვეყნებს შორის ჯერ-ჯერობით ისევ ჩაკეტილია საზღვარი და მათ არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები. საწყის ეტაპზე, როდესაც თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო სომხეთის დამოუკიდებლობა იყო მცდელობები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა, თუმცა ყარაბაღის კონფლიქტის საომარ მოქმედებებში გადასვლამ და თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერამ, განაპირობა 1993 წელს ამ ორქვეყანას შორის საზღვრის ჩაკეტვა. ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის მხარეს რუსეთის ჩართვამ განაპირობა სომხეთის კვლავ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება, რამაც სომხეთი გამოთიშა ყველა მნიშვნელოვან რეგიონალურ პროექტს. რუსეთმა ყარაბაღის ომი შესანიშნავად გამოიყენა და 1995 წელს სომხეთში ქალაქ გიუმრში რუსული სამხედრო ბაზა გახსნეს, რითაც დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია სომხეთის მხარდაჭერაში. „ცივი ომის“ დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა გამოიყენა დრო და მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება კავკასიის ორ სახელმწიფოზე (საქართველოზე და აზერბაიჯანზე), რაც გახდა საწინდარი რუსეთის გავლენის შემცირებისა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის მესამე ქვეყანა სომხეთი

რუსეთის მოკავშირეა, ეს ვერ უშლის ხელს თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის მჭიდრო თანამშრომლობას და თურქეთის გავლენის გაზრდას რეგიონზე, რომელიც საბოლოოდ სამხრეთ კავკასიაში ლიდერის როლის მორგებას ეცდება.

თურქეთი მსოფლიოში სამხედრო სიძლიერით წამყვან ადგილს იკავებს, აქვს უახლესი შეიარაღება და მისთვის უმთავრეს გამოწვევას ქვეყნის უსაფრთხოება წარმოადგენს. თურქეთისათვის ასევე მნიშვნელოვანია ენერგოდერეფნის უსაფრთხოება, რომელიც მას დამატებით შემოსავალს და საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. თურქეთი მნიშვნელოვანია ევროპისათვის, რადგან ევროპამ არაერთხელ იწვნია რუსული ენერგოპოლიტიკის სიმკაცრე (როცა რამდენჯერმე მოხდა რუსეთის მხრიდან ფასების მატება და ენერგო რესურსების ტრანსპორტირების შეწყვეტა). ენერგო პოლიტიკის დივერსიფიცირებამ და თურქეთზე გატარებამ ანკარას საშუალება მისცა რუსული გავლენა შეესუსტებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ოფიციალური ანკარა თავისი ძველი გეოპოლიტიკური კურსის მოკავშირეებს შეინარჩუნებს, მაშინ ეს იქნება უკვე აბსოლუტურად ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტიული ინიციატივების ხანა, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე რეგიონის ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორიცაა სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ზ. (2019). *თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების*.

ბზეჟინსკი, ზ. (2014). *დიდი საჭადრაკო დაფა*. თბილისი.

მაკარიძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია: 1918-2018 წლები: სალექციო ჩანაწერები*. თბილისი: უნივერსალი.

მანჩხაშვილი, მ. (2014). *თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008*. თბილისი: თსუ.

პოზიდი, ი. (2008). *თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში*. თბილისი:
საქართველოს პარლამენტი.

ჭიღვარია, გ. (2010). „თურქე- თის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იან წლებში“.